

ქართული
საზოგადოებრივი

ქართული



№ 9



მრ. ზ. რიდი თათარის. — საქართვები.




1910



შინაარსი:

I—სურათი,—დექსი, კელასი	3
II—ალაზნის ველზე,—დ. თურდოსწორედისა	5
III—სიზმარა,—სადსურა ზღამარა (დექსად), ო. გრიშაშვილისა	12
IV—ილია ქაეკავიძის ძეგლი	21
V—ფავსტა,—სურათი ძველ ქრისტეანეთა ცხოვრებისა, (თარგმანი) თ. კარბელაშვილისა	23
VI—პატარა გარრის ბალი,—ამბავი უიდასი, (თარგმანი) ნი- ნო შარაშიძისა	31
VII—მეურმე და მგზავრი,—(იგაგი) აღ. შირიანაშვილისა	42
VIII—იაკობ გოგებაშვილი,—ა. ფ.—სა	43
IX—ნატალია გაბუნია-ცაგარლისა,—გრ. უაიუშიძისა	48
X—მითოლოგია,—ტროადის ომი,—ბმძოდის განახლება, ა. მი- ქაბერიძისა	53
XI—დედა-მიწის აღსარება,—როგორ წარმოიშვა ცხოვრება დედა-მიწაზე, დ. ბოჭუძისა	56
XII—ნარევი:—შარადა და აღსნა	64





გამოცდის შემდეგ. — სურ. კაჭუბაძის ს. ხა. მინიქ

ელექტრო-მბეჭდავი წიგნ. გამოცე. კართვ. აბზ — იხა.





მინაარსი:

I—სურათი, — დექსი, გელასი.	3
II—აღაზნის ველზე, — დ. თურდოსშირედისა	5
III—სიზმარა, — ხადხურა ზღაპარი (დექსად), ა. კრიშაშვილისა	12
IV—ილია ჭავჭავაძის ძეგლი	21
V—ფავსტა, — სურათი ძველ ქრისტეანეთა ცხოვრებისა, (თარგმანი) თ. კარბელაშვილისა	23
VI—პატარა ვარრის ბალი, — აშაფა უიდასი, (თარგმანი) ნი. ნო შარაშიძისა	31
VII—მეურმე და მგზავრი, — (იგავი) ად. შირაზაშვილისა	42
VIII იაკობ გრგებაშვილი, — ა. ფ.—სი	43
IX—ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, — გრ. უიფშიძისა	48
X— მითოლოგია, — ტრიადის ომი, — ბრძოლის განახლება, ა. მიქაბერიძისა	53
XI— დედა-მიწის აღსარება, — როგორ წარმოიშვა ცხოვრება დედა-მიწაზე, დ. ბოჭვაძისა	56
XII—ნარევი: — შარადა და აღსნა	64



სურათი.

ურთებ-გაშლილი, მონარნარე
ბუნება მკერდ-მოქარგული
ნაფარდობს და მხიარულობს,
მეჯლისი აქვს გამართული!..

ცის მშვენება სხივებს აფრქვევს.
მას დამხარის, დაქათქათებს
და გადაშლილ ქვეყნის გულ-მკერდს
ათასფერად აფერადებს.

ცელქი, მარდი, მორაკრაკე,
ცქრიალა და მხიარული
მდელოს კალთებს ეპკურება
შხეთთ მფრქვეველი ნაკადული.

აქ საერთო ქვეყნის ლხენას
ამკობს ფრინველთ ნაზი ხმები,



მრავალ გვარ ხმებს გამოსცემენ:
 მთა, ველი და ტყე-მინდვრები.

სასიკოცხლო ტოკავს ძალა,
 სასიკოცხლო ისმის ხმები...
 ლაღ ბუნების ტრფობით აღვსილს,
 ვის არ ამკობს ზღერების ფრთები!..

ბ. გელა.





ალაზნის ველზე.



გერ უკვე თვე ნახევარი სრულდება, რაც სოსია სოფელში ჩავიდა. მალე მოიარა თივინათ სოფლის გარემო მდებარე ადგილები, ნახა ქალები, ახლები, ძველი ციხე-კოშკები, ნანგრევი ეკლესიები, მოკრძალებით დაათვალიერა ჯამთა ვითარებისაგან დაზარალებული წინაპართა საფანები. ხშირად სანადიროდაც უვლია უღრან ტყეებში, არც მწყემსების ცხოვრება დასტოვა გაუცნობელი, უნახავი მხოლოდ ალაზნის ველი დარჩა.—როგორ?—იტყოდა ხოლმე გაკვირვებული—კახეთში ვიყო და ალაზანი არა ვნახო, ის ალაზანი, რომლის სიმშვენიერე ასე საუცხოვოდ დაგვიხატეს ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა?!

ცისამარა დღეს სოსია მიადგებოდა ბიძასა და ეხვეწებოდა, წავიდეთ ალაზნის სანახავადო.

— შენი კირიმე, ძია, ოღონდ ალაზანზე წამიყვანე და, რასაც გინდა, იმას შეგისრულებ.— ბიძას, ამგვარ თხოვნის შემდეგ, როგორ შეეძლო არ დასთანხმებოდა, მაგრამ, ბევრის



საქმეების გამო, ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებდა დასაპირებელ
 ასრულებას.—რა იყო, ძია, ღმერთს რომ შევბვეწნოდი, ისიც
 კი ამისრულებდა თხოვნასა და შენ რა მოგივიდა, რომ და-
 ნაპირებს არ მისრულებ.

— ბიჭო, შეილო, დრო უნდა წასვლასა, დრო. თუ წა-
 ვალთ, ერთი ღამე მაინც უნდა დავრჩეთ იქა, რომ თვეზი
 დავიჭიროთ; უიმისოდ კი, აბა, რა ფასი ექნება ცარიელ ზე-
 ტიალსა.

ბოლოს, როგორც იყო, იშოვნა დრო და სოსიას უთ-
 ხრა:

— წადი ეხლავე მირაანში და აქ დამიძახე ქვეხიანთ ფი-
 დასა, ჭაჭალას ბიქსა და ბინდის ფერსა. ალაზანზე უნდა წა-
 ვიყოლიო—თან დაატანა: ვაი, შენი ბრალი, თუ ვერ მოგვეყვი
 სიარულშიო.

სოსია ისე გაახარა ამ ამბავმა, რომ სულ კუნტრუშით
 გასწია უზნისკენ დავალბის შესასრულებლად.

მცირე მომზადების შემდეგ, გავიდნენ სოფლიდან და
 დაადგნენ ყანებში დაქნილ ბილიქსა.

გზა და გზა მშვენიერი სურათები გადაეშალათ თავალ-წი-
 ნა: საითაც გაიხედავდნენ, პირველ ყოვლისა, დაინახავდნენ
 თავ-კარავიან მუხას, რომელზედაც გუნდ-გუნდად შეფენილი-
 ყვინენ ფრინველები და მზიარული ეივილ-ზივილი გაჰქონდათ.
 ნაადრევი ყანები უკვე მოემკოთ და ძნებზე მოისმოდა ჩასუ-
 კებულ გვრიტების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღულღუნი. დიკა-კი მო-
 უშველი იდგა და მარცვლებით გაჰიკნულ დიდრონ თავ-
 თავებს ოდნავ აქანავებდა. ბუდიდან ხანდისხან კრუტუნით
 წამოფრინდებოდა მგზავრებისაგან დაფეთებული გოგმანა
 მწყერი და „ქვიპთ-ყვირო, ქვიპთ-ყვირო“-ს ძახილით გაფრინ-
 დებოდა. ცოტა მოშორებით, ტყის პირას, ზღვასავით ღელავდა
 ფეტვი. გავიდნენ ყანასა და ახლა მწვანედ მოხასხასე სიმინდ-
 ში ჩაერვივნენ.



— დაილოცა, ღმერთო, შენი ძალა, დაილოცა არაა ქცეული წელს მოსავალი! — იძახდნენ მგზავრები და სიამოვნებით ხან ერთ სიმიდის ქოჩოჩს წაავლებდნენ ხელსა, ხან მეორეს, თითქოს მისი გულში ჩახუტება უნდოდეთო.

— ჩვენ ე ნელა სიარულში შემოგვიბინდა და გზა კი ნახევარიც არ გაგვივლიო, — შენიშნა ბინდის ფერმა და ფეხი ააშურა. გახედეს დასავლეთით ცასა და მზე უკანასკნელად-ლა სქუტავდა თვალებსა. გაიარეს კარგა მანძილი, მაგრამ ალანის მიწა არ მოსჩანდა. სიარულს უჩვევმა სოსიამ დაღლილობა იგრძნო და დოსტორივ ველარ მისდევდა თანამგზავრებსა.

— პა, დაიღალე, ყმაწვილო? ახია შენზედა, რომ მსტყუდი, წავიდეთ და წავიდეთო, — ნიშნის მოგებით უთხრა ბიძამ ძმისწულსა. სოსიამ ეს შენიშვნა შეურაცხყოფად მიიღო და, რომ აღარ მიეცა საბაბი საყვედურისა, ნაბიჯს უმატა და წამოეწია.

ხანგრძლივ სიარულს შემდეგ, ბილიკმა მიიყვანა მგზავრნი ერთ კლდის პირასა. გადაჰხედეს დაბლა და საუცხოვო სანახაობა კი გადაეშალათ თვალწინა. კვარცხლბეკად დაფენილი მიდამო საოცნებო წალკოტად გადაქცეულიყო. დასავლეთიდან ახვერდებულ ველზე გველივით მოიკლავებოდა ალანის. მის მკჭეფარ წმინდა ზვირთებს ისეთი ჰარმონიული დუდუნი გაუდიოდა, რომ უცებ შესწყვიტეს ლაპარაკი და გაათკეცებულის სმენით ყური მიუგდეს ალანის.

— ვიშ, რა საუცხოვო, რა წარმტაცი რამ ყოფილა ალანის ველი! — წამოიძახა სოსიამ აღტაცებით და თვალი გააყოლა ალანის მაღლა მოკრიალებულ ცის სივრცეში მოქანავე კოპწია ტოროლასა.

— მაშ, არა და თქვენ გამტვერიანებულ ქალაქს ეგვანება! — დამკინავის კილოთი სთქვა ქვეზიანთ ფიღამა და ფრიალო კლდეზე გაკეთებულ საფეხურებზე ციმციმ დაიწყო ჩასვლა.



ქართული
ენების
აქადემია

დანარჩენებიც ფრთხილად მიჰყვნენ და ფოთბეჭედი დაიწყეს. შელამებული იყო. კანკალის ბიკს ნარიყის მოგროვება და ცეცხლის გაჩაღება დაავალეს. თითონ-კი სათევზაო ფონის ძებნას შეუდგნენ.

მივადექით თუ არა მოზრდილ ტოტსა, ბიძამ გაშალა ბადე, გადიწერა პირჯვარი და წარმოსთქვა: „ღმერთო და ბედო, ეს სოსიას იღბალზედააო“ და ღონიერად ისროლა მძიმე ბადე წყალში. სოსია სულგანაბული მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ბადე ჩაეშვა. უცებ ბადემ ქანაობა დაიწყო.—აბა, გაბმულან კარგადააო!—წარმოსთქვა ბიძამ და თოკი ჯერ ნელა მოზიდა, შემდეგ-კი ღონიერად გამოსწია და ერთბაშად რიყებზე გადმოაგდო ბადე. უნდა გენახათ სოსიას აღტაცება, როცა ბადე გაშალეს და დაინახა ქვებზე მოხტუნაფი ნაფოტა, კალმახი, ფიჭული, მურწა და სხვა წვრილი თევზები. აბა, ბადე ჩაყარეთ ქვაბშიო,—დაიძახა მებაღურმა და თვითონ ბადის მეორედ დაყრას შეუდგა.

სოსია სხარულისაგან მთელის ტანითა თრთოდა. წაავლებდა თუ არა ხელს თევზის კუდს, გაუსხლტებოდა და ერთის აღაბის მანძილზე მიინც გადახტებოდა.—ვაიმე, ვაიმე, წყალში ჩაყარდება თევზიო, წამოიძახებდა და წამოხტებოდა დასაქერადა.

თუმცა „მოსმით“ თევზის ქერა აღარ იყო საქირო, რადგან ბადეს ისედაც კარგა ბლომადა ხვდებოდა თევზი, მაგრამ სოსია იმ ზომად გაიტაცა ცნობის მოყვარეობამ, რომ ქვებიანთ ფიდა და ბინდის ფერი დაიყოლია და გასწიეს ციფწყაროებისგან შემდგარ ფშნებრსკენ. ჩაუშვეს „მოსმა“ და ფრთხილად შეჰყვნენ წყალსა.

—აბა, ბიკო, დარწებს მივადექით, მარჯვედ იყავიო! წამოიძახა ბინდის ფერმა და მართლაც ერთი თვალის დახამბამებრს უმაღ ქვიშაზე ტყაპანი მოადინეს ჰიჰყინებით სავსე მოსმასა. ციფ წყალში სიარულით დაღლილობამ გაუარა ყვე-



ლას. უსაზღვრო სიამოვნებას გრძნობდნენ მაშინ, საც მთვარის შუქით განათებულ ქველთა ლივლივში ვერცხლივით მბზინავი თევზი ტყლაშანს მოადენდა და წმინდა ზილფები მოველებოდნენ ლერწმებს და იღუმალად ააშრიანებდნენ.

ისე გაიტაცა თევზაობაშია, რომ ვერც-კი შეამჩნიეს, მთვარე როგორ ჩასულიყო სავახშმოდა; ბოლოს, როგორც იყო, ანებეს თავი მუშაობასა და გასწიეს ბინისკენ. თევზით პირამდის სავსე ქვაბი მოგუზგუზე ცეცხლზე დადგეს და ერთ წუთას თახთახი დააწყებინეს. სწრაფად გაშალეს ქრელი სუფრა და ლაზათიანად შეექნენ ვახშამსა. ვახშამი რომ გაათავეს, დავა აუტყდათ იმაზე, თუ სად უნდა გაეთენებინათ ღამე, წნორებ ქვეშა, თუ მალლა მინდორზე.

— არა, ძმაო, აქ რა დამაძინებს, ვერა ხედავთ, ცაზე ღრუბლები ირევიან; რომ გაავდარდეს, ხომ ე თიხისგან მოლიბულ აღმართს ველარ აუვალთ და რაღა ვქნათ, ნიაღვარს სად დავემალოთ.

— რას მიჭკარავ, ბიჭო, ერთი ბეწო ღრუბლებმა როგორ შეგაშინეს, რომ აქ ვერა რჩები. ე მდინარე განა ისე როგორ მოვარდება, რომ ვერა გავიგოთ რა, მკედრები ხომ არა ვართ.

— ჩვენებიანთ წრუტასაც ეგ ეფიქრა, იმ დღეს სათევზაოდ რომ წასულიყო, მაგრამ წამოეშინა უცბად კოკის-პირული წვიმას, ლიპზე ფეხი ველარ მოეკიდებინა, ამასობაში ნიაღვარიც მოვარდნილიყო და—კიდევ კარგი—წნორებზე ასვლა მოესწრო, თორემ შენ მტერს, რაც იმას საქმე მოუვიდოდა.

— ოლოლო შენ საქმეს, რა ვაეკაცი მომიყვანე შენც მაგალითადა! იმას, დღისით საქმეს რომ აკეთებს, სძინავს და ღამე, აბა, რა შავ-ქვას გაიგებდა, როცა ძილ-ქუში დააწვიებოდა.



ქართული
ენების
აქადემია

— მე-კი მითქვამს, შვილოსან, და ახლა თქვენ წყენით მიახალა კანკალას ბიკმა და პატარა ბეკობრსკენ გასწია წყაროს წყლის დასაღევად.

ამხანაგებმა იმის მოსვლას აღარ მოუცადეს და დაღლილ-დაქანცულებმა ხერინვა ამოუშვეს.

ალიონი არც-კი იქნებოდა აწეული, რომ სოსიას ძილში ლაპარაკი შემოესმა. გაახილა თვალები და ყველანი ზეზე წამომდგარნი დაინახა.

— დაიძინე, დაიძინე, ჯერ ადრეა, ჩვენ წაველთ, საუზმისთვის პატარა თევზს დავიჭერთ, — უთხრა ბიძამ სოსიასა.

მაგრამ დილის სუფთა სიომ ისე ნაზად მოჰბერა, მტების აღერსით შემოეხვია ყელზე, რომ ძილი მთლად გაუკრთო. თუმცა სათევზაოდ აღარ გაჰყოლია, მაგრამ ბინის ყარაულობა-კი დაიკისრა. მის პირდაპირ დევებივით მოსჩანდნენ ნისლით თავებ შეხვეული კავკასიის მთა-გრებილის ბუმბერაზები. სოსიას გასწვრივ ცის შუაგულზე საუცხოვოდ ციალებდა ცისკრის ჭარსკვლავი.

აგერ აღმოსავლეთი აღაქდაქდა, ვარდის ფერად შეიღება. გასრეცილ ვარსკვლავთა ხომლმა და მთვარემ თვალი მილულეს და ლურჯად მოკრიალე ცის ეთერში მიიმალნენ.

ქალაში თითქოს იგრძნეს განთიადის მოახლოვებამო, ხეებზე ანცმა ფოთლებმა აღტაცებით ტაში შემოჰკრეს.

ვერხვმა თავის გრძნეულ შრილით აღაზნის პირას ტოტებ გადაყრდნობილი ტირიფი ღრმა ფიქრებისგან გამოარკვია. ფათალო ათრთოლდა გრილ სიოს მობერვით და უფრო მაგრა შემოეხვია მურყანსა. მრავალ-შტოვან ახოვანმა წიფელმა გარიყრაფი აუწყა თვის ტოტებზე მიძინებულ ფრთოსნებსა.

მალე მზეც ამოცურდა და ნამიან არე-მარეს თვისი სხივები გადმოაფრქვია. მერცხლებმა და ტოროლებმა ზარივით წკრიალა გალობით ქება მიაწნეს დილის აღამსა.




სოსო გაბრწყინებული თვალებით მისჩერებოდა
 სის მთებს, რომლებსაც ოკროს მუზარადი დაეხურათ და შის
 მონარნარე სხივებს ეთამაშებოდნენ.

დიდხანს იქნებოდა სოსო ასე ალტაცებით გაღურსული,
 რომ მეთევზენი არ დაბრუნებულიყვნენ, რომელნიც სიცხის
 შიშისა გამო ერთობ იჩქაროდნენ სოფელში დაბრუნებასა.
 სოსოს ძალიან ეძნელებოდა ასე მალე იმ საუცხოვეო სანახაობის
 მიტოვება, მაგრამ მეტი რა გზა იყო. ერთხელ კიდევთვალი
 მოაველო ალანის ტურფა არე-მარეს, ერთხელ კიდევ გაუგზავნა
 უმწიკლო კოცნა მის ზურმუხტოვან კიდე-ნაპირებს და დალო-
 ნებული გამოედევნა თავისიანებს.

დ. თურდოსპირელი.





ს ი ზ მ ა რ ა .

ხალხური ზღაპარი

I



რთხელ ერთ სოფელს,
ტურფა სამყოფელს,
სცხოვრობდა ერთი გლეხი მეურმე;
პირველი ცოლი მას მოჰკვდომოდა
და სხვა შეერთო აღქაჯი თურმე.
პირველ ცოლიდან მას დარჩენოდა
ვაფი პატარა პირ-მოცინარე.
დედინაცვალი არ ასვენებდა,
სწყევლიდა, სცემდა ყოველ ცისმარე.

*
* *

დედინაცვალმა
პური ბლომადა
მზებზე გაშალა

გასაშრობადა.
სხვაგან წავიდა
გერის იმედით,
პაწაწა ბავშვი



მოუსვა გვერდით,
 და უთხრა: — ხორბალს
 უპატრონეო:
 სირი, ფრინველი
 მოაშორეო, ...
 არ დაიძინო,
 ფხიზლად იყავი,
 ჩემი სიტყვები
 გაიგონეო.

* *

ის ადრე მოსწყდა
 დედისა უბეს;
 სტირის, აყენებს
 კრემლისა გუბეს;
 ფიქრობს პაწია,
 იგონებს წარსულს,
 დედინაცვალთან
 სიმწარეს ნახულს.
 აგერ ჩასთვლიმა,
 თვალს დააფრინდა
 მსუბუქი რული,
 ოცნება წმინდა.
 ანაზღად გაჩნდა
 ქათამთ კრებული
 ისაკენ კადა
 გამზადებული;
 სწრაფად აკრიფეს
 სრულად ხორბალი,
 რომ აღარ დარჩათ
 არც ერთი ცალი...
 მოგივა, ბავშვო,
 დედი-ნაცვალი,



აღარ დაგინდობს,
 ვაჰ, შენი ბრალი!

*
 *

ისიც მოვრდა,
 მივარდა ყმაწვილს,
 ყურიწარ უგდო
 მოთქმას და ჩივილს,
 საზაბად პური
 ამოიჩემა
 და ბედით კრულსა
 დაუწყო ცემა.
 თანაც სწყევლიდა,
 აგლეჯდა თმებსა:
 — რად შეაქამე
 პური ქათმებსა?!

— ნუ მცემ, დედილო. ძილმა წამილო,
 ვნახე სიზმარი... ვგრძნობდი სიმშვიდეს:
 ვითომც ეს ფეხი ბაღდადსა მედგა,
 ხოლო მეორე—ბაღდადს კიდეს!
 აქეთ მზე მეჯდა, იქით-კი მთვარე,
 მანუგეშებდნენ ობოლსა, მწირსა;
 ხოლო ვარსკვლავი მაღალ ზეცისა
 მამანიებდა მორჩილად პირსა.
 დედინაცვალსა ესე სიზმარი
 მოეწონა და ძლიერ ეამა;
 ეუბნებოდა:—მომეცი იგი,
 თორემ ვეტყვი და გაგტყუებეს მამა.

*
 *

სტიროდა ბავშვი
 გულით მწუხარედ,
 არ შეიბრალო,
 გააგდო გარედ.



დაძრწის ტყე და ღრე
 ბავშვი საბრალო;
 მეფე გამოჩნდა
 იქ ახლო-მახლო.
 ... ვინა ხარ, ბავშვო?
 ჰკითხა მეფემა,
 — იქნებ შევიძლო
 ნუგეშის ცემა!
 — რა ვქმნა, არ ვიცი. .
 დედინაცვალმა
 მცემა და სახლ-კარს
 გამომასალმა.
 და აქ სიზმარამ
 უამბო ყველა,
 სიზმრის ნახვისთვის
 მიიწყო წყველა.
 მეფეს ძლიერსა
 შესთხოვა შევლა.
 მეფემ მიუგო:
 — თუ მომცემ სიზმარს,
 დიდსა ბედსა გწევ,
 გაგზდი მეგობარს.
 — აბა, სიზმარი
 როგორ მოგართვა? —
 საბრალომ სიტყვა
 ვერ დაათავა,
 რომ სწრაფად თოკი
 ამოსდეს ყელში
 და დაამწყვდიეს
 ის ხარო ბნელში.



II

ამა ხელმწიფეს ასული ჰყავდა,
 ასული ტურფა, მზეთ-უნახავი;
 თვით ცას გაბადრულს სახითა ჰგავდა,
 ცით მოწყვეტილი იყო ვარსკვლავი.

რა ეს ამბავი
 ესმა ამ ასულს,
 სიზმარასადმი
 გრძნობდა სიბრალულს
 და, რაც საკმელი,
 გადარჩებოდა,
 ჩუმად და მალეით
 მასთან მიჰქონდა.

* *

ძლიერი მეფე და დიდებული,
 აღმოსავლეთის იყო რომელი,
 მის ქალსა სთხოვდა სახელ-განთქმული
 სხვა დასავლეთის მეფე მპყრობელი.
 ესე ამბავი ესმა თვით ასულს, —
 მწარედ დალონდა... ცრემლსა აფრქვევდა.
 რა ნახა მამამ, მოულობო გული
 და ცოლად მეფეს აღარ აძლევდა.

* *

განრისხდა მეფე დასავლეთისა,
 სევდა-ნალველი გულს აეშალა;
 გამოუგზავნა მას ოთხი ცხენი,
 თან მთხრობლის პირით შემოუთვალა:
 — გამოიციანი, ამ ოთხსა ცხენში
 რომელი არის დედა-მშობელი,
 რომელი არის უფროსი კვიცი,
 ან საშუალო, უკანასკნელი?!..

თუ გამოიციან, ხო რა კარგია,
 ყველგან იქმნები პატივ-საცემი.
 უკეთუ ვერა—რა გაეწყობა:
 ეგ შენი ქალი ჩემია... ჩემი.

* *

ამ ამბავმა მაშნ მეტად
 შეიპყრო და დაალონა.
 რა მიეცა მის პასუხად
 ვერაფერი მოეგონა.

ქალი წავა სიზმარასთან
 და მოწყენით ასე ეტყვის:
 — უცხო მეფე შორის მხრისა
 გვემუქრება, ყველას გვღვენის.
 მაშინ, აბა, რაღას იზამ?
 გეფიცები, მეცოდები,
 ის წამიყვანს, მომიტაცებს,
 აქ სიმშლით ხომ მოჰყვდები?
 — ნურას დარდობ,—უპასუხა,—
 რასაც გეტყვი, მიგდე ყური:
 აალოკეთ მარილის ქვა
 და აქამეთ ხმელი პური.
 შემდეგ თაელას შეიყვანეთ,
 გამოკეტეთ მაგრად კარი;
 იქ ამყოფეთ, ვიდრე ნათლად
 არ აღმოხდეს მთით ცისკარი.
 შემდეგ ერთად გამოუშვით,
 გზად არ დახვდეს ცხერისა ფარა;
 მწყრივად წავლენ წყაროსაკენ
 და გაჰყვება დიდს პატარა.

* *

ქალი წავიდა,
 ქალი ეთერი,



უამბო მამას
 სუყველაფერი.
 როგორც სიზმარამ
 ის დაირიგა,
 საკმე მართლაც რომ
 ისე გამოდგა.

* *

მესამე დღეს რომ აუხსნეს
 დასავლეთის მეფეს ესა,
 სთქვა, — თუ რაღა მოუხერხო:
 გულს მიწყულულებს მძიმე კენესა.
 შვილდს გამოჰკრა მან ისარი,
 ცა ერთ წუთში გადირბინა
 და ჩაერქო ღრმად მიწაში
 სასახლისა მეფის წინა.

* *

ურიცხვი ხალხი
 ვეზირთ შეჰყარეს,
 მაგრამ ისარი
 ვერ ამოაძრეს.

* *

კვლავ სიზმარასთან
 წავიდა ქალი.
 უამბო სწრაფად
 ყველა მართალი.
 სიზმარამ უთხრა:
 — მენდე შეგოპარს, —
 მე ამოვადრობ
 მიწიდან ისარს!

* *

მეორე დღეს დილით ადრე
 ამოედრო ვილაკის ხელს



და სთქვა მეფემ: ვინ ჰქმნა იგი,
 მე ვადიდებ იმის სახელს;
 გამოჩნდეს და მივათხოვებ
 ჩემსა ქალსა, ჩემს სასურველს.

* * *

ყველა ასე იტყობდა:
 „მე ვიყავი“! „მე ვიყავი“!
 — მაშ, ასწიეთ, მსურს დავრწმუნდე:
 ვნახო, როგორ გიქრით მკლავი!
 მაგრამ ყველა მიინაბა,
 არვინა სჩანს გამბედავი.

* * *

ბოლოს ქალმა სთქვა:
 — მამავ! სიზმარა,
 ეგებ კვლავ სცოცხლობს
 და არ მომკვდარა?
 იქნებ მან ერთმა
 უფრო ასწიოს
 და ბედი თვისი
 მით გადასწყვიტოს.

* * *

მეფემ უბრძანა;
 მცველნი გაგზავნეს,
 და მსწრაფლ სიზმარა
 იქ მოიყვანეს.
 ისარს სიზმარამ
 ხელი დასტაცა,
 ისევ უკანვე
 შეილდით გასტყორცნა
 და დასავლეთის
 მეფის წინ დასცა.



მეფეს ეამა:
 სიძე იშოვა,
 და თვისი ქალი
 მას შიათხოვა.

სამ კვირას დაჰყვეს
 და ინეტარეს,
 შემდეგ სიზმარა,
 წაფა დასაელეთს,
 რომ მტერი დასცეს
 შორეულ მხარეს.

ი. გრიშაშვილი

(დასასრული იქნება)





ილია ჭავჭავაძის ძეგლი. — ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

ილია ჭავჭავაძის ძეგლი.

28 აგვისტოს შესრულდა, სამი წელიწადი რაც ვერაგულად მოკლეს ჩვენი სასიქადულო მწერალი და პოეტი ილია ჭავჭავაძე. ქართველმა საზოგადოებამ პატივისცემის და სიყვარულის ნიშნად გადასწყვიტა დაუდგას მას ძეგლი. ძეგლის



გაკეთება დააკისრა ახალგაზრდა მექანდაკე იაკობ ჯიქელაძეს, რომელმაც უკვე დაამთავრა პარიზში ქანდაკება და ჩამოიტანა ტფილისში.


ძველი წარმოადგენს მწუხარე საქართველოს, ქალის სახით, რომელსაც ხელში დაფნის შტო უჭირავს.

ამ მშვენიერ ძეგლს ჩვენ ჩქარა დაუდგამთ ილია ქავკავაძეს სახსოვრად, მაგრამ ეს ძეგლი, რომელიც ილიამ თითონ სიკოცხლეშივე აიგო, ბევრად უფრო ხანგრძლივი, დიდებული და მშვენიერია. ეს ძეგლი არის ის უკვდავი გრძნობა, ძმური სიყვარული დაჩაგრულ მოძმეთა მიმართ, რომელიც იმან დასთესა ჩვენ, ქართველთა გულში საშვილიშვილოდ. ვინ არ იცის, რომ კეთილი აზრი გულში ჩანერგილი, რაც დრო მიდის უფრო და უფრო იფურჩქნება, იზრდება და ხარობს საშვილიშვილოდ გადაცემული. აზრი უკვდავია, მაშინ როდესაც გარეგნულ ძეგლს აქრობს და ანიაგებს დროთა მსვლელობა.

ჩვენ ქართველებს ეს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს. გვახსოვდეს, რომ ეს მშვენიერი ძეგლი, რომელიც ისეთის სიყვარულით დაკეთა მექანდაკემ, როდისმე განიაგდება, აღიგაგება ქვეყნიერობისაგან, მაგრამ სიტყვები, რომელიც სიყვარულით აღმოცენდა პირდაპირ პოეტის გულიდან:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
 ეგ ვერაფერი სიყვარულია!
 საქმე ის არის კაცს ის, უყვარდეს
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

ეს სიტყვები არ წაიშლება ადამიანის გულში, სანამ კაცობრიობა არსებობს და სანამ ერთი დაჩაგრული მძინე იქნება ქვეყანაზე.





ფაქსტა.

(სურათი ძველ ქრისტიანეთა ცხოვრებისა)

(თარგმანი.)



შეიღობა შენდა, კეთილშობილო კაი მარკ!
აბა, ერთი შეხედე, რა ლამაზი რამ არისა? არა?
ეს კითხვა მიმართული იყო ქაბუკ ცენ-
ტურიონისადმი, რომელიც სარბიელზე გასა-
ვლელ ერთ ერთ კარებს სდარაჯობდა. წარ-
მოდგენა ჯერ არ დაწყებულიყო; პატარა, ბნელ
ოთახში, რომელიც სარბიელის გვერდით იყო,
აშკარად ისმოდა ხალხის მოუთმენელი ყაყანი.

იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ კაცი ფეხს ვერ აუქცევ-
და; ჯერ კიდევ დილაადრიან მარმარილოს სკამებზე ჩამომ-
წკრივებული ღელავდა წარმოდგენის მოლოდინში. განუწყვე-
ტელ თვილ-ხივილის გამო, ჯარის კაცმა შემსვლელთა ფეხის
ხმა ვერ გაიგო თავის სახელის გაგონებაზე უსიამოვნოდ მო-
იხედა და მის მშვენიერ ვაჟკაცურ პირისახეზედ ცუდად და-
ფარული განუსაზღვრელი ზიზღი გამოებატა. მის წინ საპრო-
ბილის ერთი ზედამხედველთაგანი იდგა; იმ დროს საპრობი-
ლეები ქრისტიანებით გავესოთ, ნერონის წყალობით, რომელ-
საც თითქო გარდაეწყვიტა მოესპო თავისუფლება თვითეულ
ქრისტიანესთვის. ზედამხედველის ჩასუქებული, პირფერობით
მოლიმარე სახე ზიზღსა ჰგვრიდა მარკს; მაგრამ ლამაზის ბავშვის
დანახვის უმაღლ განცვიფრებით წამოიძახა:—ეს ბავშვი ვისია,
ტიბულ? რა მშვენიერი რამ არის!!! საიდგან მოიყვანე?



ტიბულს ხელი მოეკიდა ასე 8-9 წლის გოგონასთვის, რომელიც მართლაც გასაოცარი რამ იყო. საკვირველი სანახავი იყო ნაზი, ლამაზი, პაწაწა გოგონა სიშინელ, ბნელ საპრობილემში. მისი გიშრის ფერი ხუჭუჭი თმა ხშირ დალალებად მაღალს და კკვიან შუბლს გვირგვინად მოსდგომოდა და სინაზეს უორკვებდა. დიდრონი თვალები ცასავით ლაფვარდის ფერისა ჰქონდა, ღრმა და ანკარა, როგორც მთის წყარო. პატრიციმ ბავშვის დანახვისათნავე რალაც მზურვალე თანაგრძნობა იგრძნო მისდამი. პაწიას თოვლივით თეთრი ტანთსაცმელი ეცვა და საუცხოვო სურათს წარმოადგენდა. ხელში უშველებელი თაიგული ეჭირა წითელ ყვავილებისა.

— ეს ვინ არის? — მოუთმენლად წამოიძახა მარკმა.

— აი, კეთილშობილო მარკ, ეს გოგონა გუშინ სატუსალოში მოიყვანეს — ქრისტეანეა. გოგონა ლამაზია და თან კიდევ რალაც ეშხი და ჯადო აქვს სილამაზისა. აბა, ერთი თვალებში შეხედე! ამის მსგავსი გინახავს კიდევ სადმე?!.. ვისი თვალები გამოიკვირება ასე ნაზად, უმანკოდ?! ო... ო... მოხუცი ტიბულდი აგრე ტუტუციც არ არის!

— კეთილი, მაგრამ ახლა რას უპირობ? — გაჯავრებით გააწყვეტინა სიტყვა ჯარის კაცმა.

— უჰ! იცი, რა მოვიგონე! ჩვენს ღვთაებრივს მბრძანებელს მოსწყინდა ის უშნო გასართობი, რომლითაც უმასპინძლდებიან ჩვენის ცირკის გამგენი. ყოველ ცისამარა დღეს ერეკებიან ერთის მხრივ დამშეულ ძალთა ხროვას და მეორეს მხრივ გამოჰყავთ ერთი მუჰა დაგლეჯილ-დაფლეთილი, გაძვალტყავებული ქრისტეანები და გამგებლებს ჰგონიათ, რომ ეს სანახავი დიდებულთა. არა, რით ვერ გაიგეს, რომ ამ გასისხლიანებულის ხორცის ნახვა საყასბოშიაც შეიძლება!.. მაშ, რალად უკვირთ, რომ ცეზარი მთელ წარმოდგენის განმავლობაში ამთქნარებს და შუბლი კოპებად აქვს შეკრული?!.

ჰმ! ტიბული კკვიანია! რას იტყვი, ასპარეზზედ თვალწინ რომ წარმოგიდგეს ამისთანა ნაზი, მომჯადოებელი არ-

სება! ესეცა კმარა ყველას მოსახიბლავად, მაგრამ, წარმოი
დგინე ის წუთი, როცა ამ არსებისაკენ წყნარად, ღიჯად
გაემართება ვეება, უშველებელი, ყვითელი ლომი!!!

— ლომიო! მაშ მავას სარბრელზე გამოიყვან? — მრისხა-
ნედ შეეკითხა მარკი და წარბები შეიკმუხვნა.

— მაშ! აბა, ერთი გაითვალისწინე, რა სურათი იქმნება:
ღიადი, ძლევა-მოსილი დიდებული ხელმწიფე უდაბნოსი და
ეს ნახი, ჰაეროვანი პაწია თავის ყვავილებითა! რა წმინდა და
თან გულშემზარავი მშვენიერებაა!.. ამ სურათთა სხვადა-
სხვაობაშია ღიადი მშვენიერება! ნახე, რა ქება-დიდებას შემა-
სხვენ ამის მომგონს

ჯარის კაცმა ზიზლით მიიბრუნა სახე და გსკვირვებით
შეჰხედა გოგონას. მის პირისახეზე შიში როდი ჰკრთოდა;
ცისფერი თვალები-კი კვლავ ჩაფიქრებით გამოიყურებოდა.

ჯარის კაცმა ბავშვს მხარზე ხელი დაადო.

— პაწია, განა არ გეშინიან?..

— მე არაფრისაც არ მეშინიან, — მშვიდად გაიწყრილა
იშისმა ხმამ.

— ლომისაც?!

— რასაკვირველია, მე ხომ ქრისტეანე ვარ?!

— ლომი გაგლეჯავს!

— თეთრ ტანისამოსიანი ანგელოზები-კი თავიანთ ლაყვარ-
დოვან ფრთებით ჩემს სულს წაიღებენ შორს... შორს... იქ,
საიდანაც მზე გვიცინის, ღამე-კი ვარსკვლავნი გვიღიმებენ...
იქ დედ-მამა მყავს... და მისი თვალები სიხარულის შუქით
აენტო.

ჯარის კაცი ფიქრებმა წაიღო.

— დიად, იქ დედაჩემია... და ბევრი, ბევრი ყვავილები,
ანგელოზები, ვარდები. ჩემ მშვენიერ ყვავილებს თან წავი-
ღებ და დედაჩემს მიუტან...

— მარკ!... ჩემდა საბედნიეროდ, ასე ლაპარაკი რომ
დაიწყოს ასპარეზზე!



— მერე ლომის წინ! მაშინ მე...

— ხმა გაკმინდე! — შეუტია მარკმა და გოგონას მიუბრუნდა: — პატარა, რა გქვია?

— ფავსტა... როგორა გგონია, თეთრი ფრთები გამომესხმება მხრებზე, როდესაც ანგელოზებთან ერთად გავფრინდები ზეცას?

— საბრალო გოგონა! — წაილულულა მარკმა.

ეს იყო უგრძობელი, მრავალ ბრძოლის ცეცხლში გამოვლილი ჯარის კაცი, შეჩვეული ადამიანთა სიცოცხლის გამოსაღმებას. მაგრამ იქ როდი ზოცავდნენ უმწეოსა და უღონოებს; იქ იბრძოდნენ ღონივრები, ჯანიანები იარაღით ხელში; ის, ვინც შეჩვეული იყო სისხლსა, — ჰღელავდა, იტანჯებოდა; თვალწინ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ რამდენსამე წუთს შემდეგ დაიღვრებოდა უმწეო ბავშვის სისხლი, ამ უსუსურისა, ლაქვარდოვან თვალებიანისა, რომელიც დედისა და ფრთების ოცნებაში იყო, დაიღვრებოდა საშინელ მხეცის ტოტითა და ამ მხეცურ სანახაობით აღტაცებულის ხალხის ტაშის კვრასთან ერთად. და, შეუჩვეველმა შეცილებას, მკაცრად უთხრა ტიბულს:

— გოგონა ჩემია! ნუ გეშინიან, ბლომად მოგცემ ფულს. და ბრძანების კილოთი ფავსტა თავისკენ მიიხმო, მაგრამ, საპყრობილის ზედამხედველს პირისახეზე მოუსვენრობა დაეტყო.

— არა, კეთილშობილო მარკ, როგორ შეიძლება! — და პატარა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. არასოდეს არ მომცემ იმდენს, რადენიც მე შინდა ავიღო. მარკმა შეამჩნია, რომ მშვიდობიანის გზით ვერას გახდებოდა ბოროტ კაცთან და თავი დაანება. მრისხანედ ხელი ხმალს გაივლო და შავი თვალები ცეცხლივით აენტო, მაგრამ თავი შეიკავა.

— უ... უ... უ... ძაღლო, ძაღლო! — წაიბუტბუტა ჯარის კაცმა.

პატარას ვერა გაეგო რა და გაკვირვებით შესცქეროდა



ორივეს. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ზედამხედველმა
 როდ ხელი გაავლო.

— დროა, დრო! — აჩქარებდა საპრობილის უფროსი: —
 გასვლის დროა.

— გამიგონე, ტიბულ, — უთხრა მარკმა: — დამითმე ბავშვი.
 მენდე, ბევრს მოგცემ. არ მოსტყუედე ანგარიშში.

— არა, არ შეიძლება! უკაცრავად, კეთილშობილო
 მარკ! — დროა... ტიბულმა გოგონა წაიყვანა, მარკი-კი გუ-
 ლის ფანჯკალით შესცქეროდა ბავშვს.

— მშვიდობით, ფავსტა! — დაუძახა მარკმა აღელვებულის
 ხმით.

— მშვიდობით! — წყნარად უპასუხა გოგონამ. — მახავ,
 რომ „იმისი“ სრულებითაც არ შემეშინდება... კარები მიი-
 ხურა და ხმაც მისწყდა.

ცენტურიონი-კი პატარა სარკმელს მივარდა, საიდანაც
 კარგად სჩანდა ასპარეზი.

ასპარეზზე პაწია თავის თეთრის კაბით გამოვიდა, წითელ
 ყვავილებს თაიგულით ხელში, ისეაიგე დამშვიდებული,
 როგორც იყო გამოსვლამდე.

მზის უხემა სინათლემ თვალთ დაუბნელა, რავდენისამე
 ათასის ხალხის ლაპარაკმა დააყრუა. მერე მალე გონს მოვი-
 და, თავი მალლა აიღო და ცნობის მოყვარეობით მიმოიხედა.

— უჰ, რავდენი ხალხია! სულ თავები... თავებია... ამ-
 დენი ხალხი არასოდეს არ მინახავს! ყველანი ყვირიან და
 უსტვენენ. მერე რა რიგად ანათებს მზე, როგორ შეენის
 ყოველისფერი!

პაწია კი მარტოდ მარტოა... ის რაღა არის წითელი...
 იქით... ქვიშაზე? ეს აღბად ვარდებია, საუცხოვო, მშვენიერი
 ვარდები, რომელიც ამოსულა იმ ადგილას, სადაც ამდენ
 ქრისტეანებს აწამებენ. ბავშვი კისერს იძაბავდა, რომ კარგად
 დაენახა სისხლის ლაქები, რომელიც ვარდები ეგონა.

ხალხი ჰღელავდა, თავის კმაყოფილებას აცხადებდა, — რა



ქართული
ენების
აქადემია

გულმაგრად არის ეს პატარა თავის ცისფერ თვალში
უშიშარიოა!...

იმპერატორი ნერონი მიბრუნდა ასპარეზისაკენ და ფავს-
ტას თვალღერება დაუწყო. მოწყენილსა და დაღმეკილს პირი-
სახეზე ცნობის-მოყვარეობა გამოეხატა.

— რა ლამაზი გოგონაა! — წაიბუტბუტა ნერონმა.

ძირს-კი... ფანჯრიდან ანთებულის თვალებით შესცქე-
როდა პაწიას მარკი.

— საწყალი! რა მებრალეობა! ოჰ, რა უსვინიდიხონი არიან!
მტარვალნო, ჯალიათნო! ოჰ! როგორმე რომ გადარჩეს! ბავშვს
რალაც განსაკუთრებული ძალა აქვს... იმ ანგელოზებსა ჰგავს,
თითონვე რომ მითხრა, ჩემის სულის წასაყვანად მოვლენო...
აი ლომიკ...

უზარმაზარ ცირკში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, —
გალიიდან ლომი გამოუშვეს. ეს იყო მშვენიერი, საუცხოვო
ფაფრიანი, ძღვევამოსილი ცხოველი, მიდიოდა წყნარად, დინ-
ჯად, ამთქნარებდა და თითქოს მზის შარავანდედს უნებვირ-
დებოდა განთავისუფლებული დიდის ხნის ტყვეობიდან, ნეს-
ტიან და მწელ გალიიდან.

მერე მიჰხედა ბავშვს და მეფურად, ძღვევამოსილის ნაბი-
ჯით გაემართა მისკენ.

ყველამ სული განაბა... სუნთქვა შეიყენა...

პაწიამ ლომი შტამჩნია და გაქვავდა... გაფითრდა... ხე-
ლები უნებურად ჩამოუვარდა... და აღისფერი, სისხლივით
წითელი ყვავილები ცხელ ქვიშაზე ფეხებთან მოეფანტა...

იგი ქრისტეანე იყო, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ბავშვი
და ამიტომ შეჰკრთა... მაგრამ, შეკრთომა მისი წუთიერი იყო.
ბავშვი მოულოდნელად წელში გასწორდა, თავი მალღა აიღო,
ხელები აღაპყრო და ისე გაიღიმა, რომ ყველას ეგონა, იქ,
ზეცას რალაც სასიხარულო დაინახაო.

როდესაც თვალები ძირს დაბარა, ლომი უკვე მის წინ
ყო. სიკვდილი თვალწინ ედგა. მერე, სულ მოულოდნე-

ლად გოგონა მუხლის თავებზედ დაეცა ლომის წინაშე ენაქვეშადად დაეხრებოდა...
 ვინი პაწია ხელები ვედრებით გაუწოდა...

იქნება იმ აზრმა გაუელვია, ლომი შემობრალებს და არას მანებსო, ან იქნება ლაქვარდ ციდან ჩააგონა ვინმემ, რომ ნადირი ხანდისხან ადამიანზე გულკეთილია?!

ყველანი გაოცებით უყურებდნენ ამ არა ჩვეულებრივ სურათს. პაწია თავისის გაწვდილის ხელებით უფრო მომხიბლავი იყო. თვით ნადირიც თითქო გაოცებულიყო. ასე იყო თუ ისე, ლომი გაშტერებით შესცქეროდა გოგონას და თავის მწვანე თვალები ბავშვს გაუბნია თვალებში. ყველა ელოდა... ჰაერიც შესდგა და შეგუბდა...

ლომი შეინძრა... საწყალი ბავშვი...

მაგრამ, ეს რა ამბავია? ბრუნდება, უკან მიდის.

ღიად, მიდის... ამფითეატრში უცბად გაოცებისა და სიხარულის ხმა გაისმა. იქმნება ლომი ძალიან გამაძლარი იყო და ბავშვი თავის შესაფერ ლუკმად არა სცნო! ან იქმნება ანგელოზმა... დაიკავა... იმ ბრწყინავ ფრთებიან ანგელოზმა?—გაუელვია ფეხში მარკსა. შესაძლოა... და თვალებ დაქყეტილმა ალტაცებით აიხედა მოვლვარე ცისაკენ და ასე, იქ ანგელოზებსა ვხედავო...

ხალხი გრგვინავდა, ღრიალებდა. ქებას ასხამდა ლომსაცა და ბავშვსაც. ნერონი მთლად გამოიცივალა. პირისახეზედ სიცოცხლე გამოეხატა, თვალებიც აენტო.

თავის მხლებლებს რაღასაც უამბობდა სიცილით. მერე კი ხმა მალლა დაიძახა:

— ბავშვი გაათავისუფლეთ! და დაუმატა:—ყოველ დღე ამგვარი ვასართობი ხომ არა მაქვს? გოგონამ ისე გამართო...

ფავსტა წაიყვანეს ასპარეზიდან.

— კეთილშობილო მარკ, გესმის რა ამბავი აქვთ! სრული გამარჯვებაა! ძალიან კარგად მოეწყო საქმე, შენ თითქმის უფასოდ ლამაზ ბავშვს მიიღებ, მე კი ფულებსა!—გაქნილის კაცის ღიმილით ჩასწურწულებდა ზედამხედველი ცენტურიო-



ნსა...კი არ გეგონოს, რომ ეს სიბოროტით მომდიოდა...
 კარგად იცი, რომ მოხუცებაში კარგია თბილი ბინა... და...

მაგრამ მარკი ყურს როდი უგდებდა და ფავსტას მივარდა.

— მითხარი დროით, რა დაინახე იქ, ზემოდ? ანგელოზებსა ჰხედავდი, განა? ამ ცისებრ მოელვარე ფრთებით? ახლა კი ჩემი ხარ! წაგიყვან შორს, შორს! მოგაშორებ ამ ბოროტ ადამიანებს და კეთილ ლომებს; იქ მიაშობ, ვინ არის შენი ღმერთი, ვინ არიან ანგელოზები, რად გიყვარს აგრე ყვავილები?!

— დიალ! — ტიტინებდა ფავსტა, რომელიც, ძალიან დიდის ღელვისა და მოუსვენრობისა გამო, დასუსტებულიყო.

— ჩქარა წავიღეთ აქედან! მე ვასწავლი და შენ ირწმუნებ ღმერთს, განა? შენ თაყვანსა სცემ ჩემს ღმერთს, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა! ნუ გგონია, რომ შემეშინდა; როდესაც ლომი ისე ახლო იყო. მართალია, ჯერ კი შემეშინდა, კანკალმა ამიტანა... მაგრამ მერე კი სრულიად დაემშვიდდი! ღმერთს და იმას იმიტომ ვემუდარებოდნი შეწყალებას, რომ ჯერ არ მინდა სიკვდილი... ზეცას კარგია... მაგრამ სიცოცხლეს ძალიან კარგია... ისე კარგად და ნახად აშუქებს მზე და სურნელოვანებას აფრქვევენ ყვავილები! ასეა, არა?!

თ. კარბელაშვილი





პატარა გარრის ბალი.

(დასასრული)

VI

არჩი იმ დროს მივიდა სახლში, როცა ჩამამავალის მზის სხივები წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გუმბათის ჯვარს-ლა აპყვერილილებდა.

—აა! გარრი!... ბიკო, ხომ კინალამ მოჰკალიბებია შენი!—მიძახა ჯონ სტერნიმ მომავალ ბავშვს! რატომ არ გვიტხარი, ბიკო, სად წახვედი? რად დაგეტანჯე ასე, შე საძაგელო!

—იმიტომ არ გიტხარით, რომ არ გამიშვებდით პირველ მინისტრთან, —უთხრა ბავშვმა და გაეშურა თავის ბალისაკენ. ისე დამშვიდებით დაუწყო ბალს დათვალეირება, თითქოს იმ დღეს არაფერიც არ მომზდარიყო იმის ცხოვრებაში.

—შერე და მართლა ნახე პირველი მინისტრი?—ჰკითხა ჯონმა და სათვალეები მალლა აიწია.

გარრიმ თავი დაუქნია.

—შერე გააკეთე რამე?





— ჯერ არაფერო ითქმის მაგის შესახებ.

ერეკლესიის
გენერალისთვის

— ძალიან შევწუხდით, ასე უეცრად რომ გაპქრი სადღაც და არ გავგაფრთხილდე, — ეუბნებოდა ბებია, რომელიც ხან იცინოდა, ხან ტიროდა ბავშვის დანახვაზე. საშინლად დაგვტანჯე, შვილო, საშინლად! ..

— რა შექნა, ჩემო ბებრო, რომ უამისობა არ შეიძლებოდა!...

როცა მთელია თავშესაფარმა შეიტყო ეს ამბავი, ბავშვი ერთბაშად გამოიცივალა იმათ თვალში: ყველა დიდის მორიდებით და პატივისცემით უცქეროდა პატარა გმირს.

ხუმრობა იყო?... ამ პაწაწა ბავშვმა მარტოდ-მარტომ მოახერხა ლონდონში წასვლა და პრემიერის ნახვა.

იმ ბებრებს, რომელნიც თავის დღეში მილტაუნის იქით არსად წასულიყვნენ, ბავშვის ასეთი საქციელი საარაკო რამედ შიანდათ. მაგრამ ყველაზე მეტად ის აკვირვებდათ, რომ ბავშვი გაჩუმებული იყო და თავისებურად მშვიდობიანად, წყნარად მუშაობდა ბაღში, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო. თუმცა გარეგნობით ბავშვი ასე დამშვიდებული გამოიყურებოდა, მაგრამ გულში უზომოდ იტანჯებოდა; სტანჯავდა ისა, რომ მინისტრი გადაქრით არაფერს დაჰპირებია. მართალია, გულს არ იტებდა და დიდი იმედი ჰქონდა, რომ პრემიერი უყურადღებოდ არ მოეპყრობოდა მის თხოვნას, მაგრამ ეს ხომ ცარიელი იმედი იყო. ამისთანა ფიქრებში გართულ ბავშვს ისიც ძალიან ანუგეშებდა, რომ თვითონ თავი არ დაუზოგავს ამ საქმისათვის... ყოველივე ღონე იხმარა, ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეეძლო. ერთიანად დახარჯა ამ საქმისთვის თავისი ფული; ახლა მეტი ღონე არ არის, უნდა მოთმინებით უცადო, რა ამბავი მომივიაო. თითო საათობით იჯდა საღმე კუნქულში და მისჩერებოდა ბქისკარს, იქნება ან ფოსტის შიკრიკი ან დეპეშის დამტარებელი დავინახოვო. მაგრამ ამაოდ!... დრო გადიოდა და არაფერი ამბავი კი არ ისმოდა!

— აბა, რამ გაფიქრებინა, ჩემო პაწაწინა გვრიტო, რომ ისეთი დიდი კაცი, როგორც პრემიერია, შენისთანა ბაღანას პასუხს ვასცემს, — უთხრა ერთხელ ბებიამ.

ბავშვი საშინლად გაფითრდა და თავი ჩალუნა... ვაი თუ მართლა ტყუილი გამოდგეს მისი იმედი!... ვაი თუ, ამდენის წვალებისა და იმედების შემდეგ, ეს საწყალები მაინც აჰყარონ აქედანაო!..

— ნუ დარდობ ამდენს, ჩემო კარგო, — ეუბნებოდა სარა: — როგორც იქნება, მოვახერხებ ავიჩინო სადმე ჩვენის ქოხის მსგავსი ქოხი, ასე პატარა ბაღიც რომ ჰქონდეს, და არ შეგამჩნევენ აქაურობის მოშორებას.

მაგრამ ამ ლაპარაკის დროს ისე საშინლად აღეფლდა საწყალი მოხუცებული, რომ ქვითინი ვეღარ შეიკავა... ხუმრობა იყო, ამდენის ხნის შეჩვეულ კარმიდამოს მიტოვება!... მერე კიდევ ეს ამოდენა სახლები უნდა დაენგრიათ, გაენადგურებინათ! აქედან აყრიტ ისინი იმავე მდგომარეობაში ჩაცვიდნენ, რა მდგომარეობაშიც ცხერის ფარა იქნება, საძოვარ ალაგიდან რომ ხრიოკ უდაბნოში გარეკონ. ყველა აქ მცხოვრები უკვე ღრმად მოხუცებული, ღარიბ-ღატაკი, უსახლკარო, უნათესაო, უთვისტომო ხალხი იყო და თავშესაფარი შეადგენდა მათთვის ერთადერთ ბინას, საიმედო ნავთ-საყუდელს.

გარრის არაფერი საფუძველი არ ჰქონდა დაერწმუნებინა თავისი თავი, რომ მინისტრი დაეხმარებოდა, მაგრამ სულ უიმედოდაც არ იყო. „დარწმუნებული ვარ, არ დაავიწყდება“ ფიქრობდა ხოლმე ამისთანა ყოყმანის დროს; „ყვავილების წყალში ჩადგმა ხომ გაახსენდა — ესეც ისე გაახსენდება! ძალიან თავაზიანად და ტკბილად მომეპყრა!... არა, არა, არ დაავიწყდება!..“

მაგრამ გადიოდა დღე-დღეზე, კვირა-კვირაზე და არსაიდან არაფერი ისმოდა. ამასობაში ბავშვი ისე დანაღვლიანდა,



რომ დღითი-დღე დნებოდა; ცისფერი თვალები უფართოვდებოდა, ხელები უცხელდებოდა.

— ეს ბავშვი სწორედ გადაჰყვება ამ საქმეს, — ამბობდნენ შეწუხებული სარა ბოკკერი და ჯონ სტერნი.

მაგრამ რა უნდა ექნათ, რითი უნდა გამოეკეთებინათ საქმე! რა შეეძლო ქალაქის თავისა და თვითმმართველობის წინააღმდეგ ამ ლატაკ ხალხს!

არც საქმელს, არც სასმელს ბავშვისათვის გემო აღარ ჰქონდა; ბალში მუშაობის ხალისიც დაეკარგა.

VI

ამ ნაირად გადიოდა დრო და საქმის გარემოებისა ნამდვილი ამბავი არაეინ იცოდა. ქალაქის პატრონები თავშესაფარის მცხოვრებთ იმის ღირსადაც კი არ სთვლიდნენ, რომ ეცნობებინათ რამე მათთვის ამ საქმის შესახებ. გაზეთებში თუ დასწერდნენ რამეს, ყველანი მიაწყდებოდნენ ხოლმე იმ ნომერს, რომელშიაც იქნებოდა ამ გვარი ცნობა; იყო კიდევ რამდენჯერმე მოხსენებული გაზეთში, ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს თავშესაფარის გაუქმება და იქაურ მოხუცებულთათვის პენსიის დანიშვნა — ოთხმოცის ან ასის მანეთისა წელიწადშიო. მაგრამ ამ ცნობამ სრულიადაც ვერ დააშოშმანა მოხუცებულები: ასი მანეთი წელიწადში, აბა, რა უნდა ყოფილიყო იმასთან შედარებით, რასაც ამათ ართმევდნენ! საკუთარს მყუდრო და მშვიდობიანის ბინისა და მოსვენებულ ცხოვრების ნაცვლად ასი მანეთი წელიწადში?..

— ეს საშინელებაა, ეს უღმრთობაა! — იძახოდა ჯონ-სტერნი და ამასვე იმეორებდნენ დანარჩენი ბებრებიც მთელი ის უბანი ამავე აზრისა იყო და ყველას დიდი მღელვარება ეტყობოდა.

— გარრი ხომ თვითონ იყო პირველ მინისტრთან და პირის პირ ელაპარაკა პრემიერს, შეათასჯერ იმეორებდა ჯონ სტერნი... მე ხომ მაშინვე უთხარი საწყალ ბავშვს, აქედან

არაფერი გამოვა, ის უგულო კაცები ჩვენისთანებისთვის არ შეიწუხებენ მეტეი...

ჯონ სტერნი არასოდეს არ დასწამებდა გარრის სიყალბეს და დარწმუნებულიც იყო, ბავშვმა მინისტრი ნამდვილად ნახა. მაგრამ სხვანი ახლა დიდის ეკვით უყურებდნენ ამ ამბავს; უმეტესობას აღარ სჯეროდა, ბავშვს მართლა მართოდ-მართოს მოეველო ლონდონი და მოეხერხებინა პრემიერის ნახვა.

— ბავშვებს ძალიან უყვართ ყველაფრის გაზვიადება და საშინელი ტრამახებიც არიან ხანდახან, — სთქვა ერთმა მოხუცმა.

თუმცა ჯონი ყველას წრფელის გულით არწმუნებდა, გარრის ერთი იოტისოდენა ტყუილის თქმაც კი არ შეუძლიანო, ბავშვი ნაცნობებსაც ენახათ ლონდონს მიმავალ მატარებელში მჯდომიო, მაგრამ მანც ახლა აღარავის ეს ამბავი სიმართლედ აღარ მიაჩნდა და ყველა ეკვით უყურებდა და ებუტებოდა საწყალ ბავშვს.

— ეჰ, ბავშვები ხშირად საშინელი ცრუები არიან ხოლმე. — გაიძახოდა მთელი თავ-შესაფარი და ბავშვს სრულიად სხვა თვალით დაუწყეს ცქერა.

გარრი ყველაფერს ჰგრძნობდა, ჰხედავდა, სიცრუეს სწამებდნენ და ყველაზე მეტად ესა სტანჯავდა. ბებია სარაც ბოლოს იმ აზრს დაადგა, გარრის ეს ამბები აღბად სიზმარში მოესიზმრა და ნამდვილ ამბად ეჩვენაო. „მართლაც და, რა წარმოსადგენი იყო, პრემიერს თითქმის ტოლა ბავშვი ისე მიეღო!... ეკვი არ არის, ბავშვი მართლაც იყო ლონდონში, ბევრი ტანჯვა-წვალეზაც გამოიარა მინისტრის ძებნაში, დაიღალა, დაიქანცა; მერე ასე დაღლილს, ერთსა და იმავე ფიქრით გატაცებულს, ნერვებ-აშლილს, სადმე მიეძინა და ყველა ეს ამბავი მოეჩვენა ცხადივით... იმ თავიდანვე ბავშვი ისე გაჩუმებული იყო, რომ მაშინვე ეტყო-



ბოდა—ვერ გამოაკვეულოყო!.. საოცარია, რა ნაჩვენებია და
ჯერეთ მაშინ ეს ამბავიო!...

VIII

დრო გადიოდა და ქოხების დანგრევის თაობაზე უფრო და უფრო ხშირად ისმობდა ლაპარაკი. თავ-შესაფარის მცხოვრებნი ახლა სავსებით დარწმუნდნენ, რომ გარრის ნაამბობი მტკნარი სიცრუე იყო. წინანდელი სიყვარული და პატივისცემა გარრისადმი ახლა სიძულვილად და მტრობად შეიცვალა. ყველანი თითქმის ზიზზით უყურებდნენ საბრალო ბავშვს და პირს არიდებდნენ. უმანკო ბავშვი ამას კარგად ჰგრძნობდა და უზომოდ იტანჯებოდა. რა თქმა უნდა, ახლა ბაღის ტასახედავადაც აღარავინ ეპატიებოდა პატარა მებაღეს.

პრინსაც კი არ დაეიწყებოდა აქამდისინ ის წვალეობა, რომელიც გარრიმ მიაყენა, როცა კალათში ჩაწვევას უპირებდა, ლონდონში წასვლის წინად. „პრინცი რომ ძალდი ყოფილიყო, აქამდის ყველაფერს დაივიწყებდა“, — ფიქრობდა გარრი, როცა კატის გულგრილობას ამჩნევდა: „ძაღვები კატებზე უფრო გულკეთილნი არიან“.

საცოდავ ბავშვს გული თან და თან უკედებოდა, სხეული უსუსტდებოდა. ექიმმა სისხლ-ნაკლებობა დააჩქვა ბავშვის ავადმყოფობას და თევზის ქონი გამოუწერა; მაგრამ სარა ბოკკერი კარგად ჰგრძნობდა, თუ რაც იყო მისის პატარა ბიჭის ავადმყოფობის მიზეზი.

— სულ მწუხარებისაგანია მაგისი ავადმყოფობა, — ამბობდა ბებია; — აქედან აყრის ამბავმა დამიდარდიანა ჩემი საცოდავი ბიჭი!... ხომ გაიგონეთ, ბატონო ექიმო, აქედან აყრის გვიპირებენ!

— ჰო, მითხრეს ეგ ამბავი... იცოდეთ, რომ თქვენთვის სასარგებლოც იქნება გადასახლება! ეს კუთხე მეტად უვარგისია სიმრთელისათვის, — დაუმატა ექიმმა. — შეჰხედეთ ამ კედლებს, როგორ მოსდებია ხავსი დიდი სინესტე ბუდობს ამ



ეროვნული
საზოგადოებრივი

კედლებში და, ვინ იცის, რამდენ ავადმყოფობას არ გვაჩვენებს ასეთი სინესტე. ამისთანა სახლებში დგომა ძალიან მავნებელია ჯანმრთელობისათვის, — სთქვა ესა და ისე გაეშურა ექიმი, თითქოს უკან უნდა გამოსდგომოდნენ ყველა ის აუარებელი მიკრობები, რომლითაც, მისის აზრით, სავსე იყო ყოველი კუთხე იმ სახლისა.

— რაზე მოიწვიე, ჩემო ბებია, ის ექიმი? ნუ თუ იმიტომ მოიყვანე, რომ ამდენი სისულელე გეთქმევიანებინა?...

— შენ რომ ავადა ხარ, ჩემო ძვირფასო?

— არა, მე კარგადა ვარ!

— შენი ავადმყოფობა იმისაგანაა, ჩემო კარგო, რომ სულ დარდობ ჩვენს ყოფასა!... დროა, გენაცვალე, შეშურდიგდეთ იმ აზრს, რომ აქედან უთუოდ უნდა გადავიდეთ. ცხოვრებაში უფრო ხშირად ის რჩება ხოლმე გამარჯვებული, ვინც უფრო ღონიერია; ჩვენც ასე გვემართება, ჩემო ძვირფასო, მაგრამ დარდი ხომ ველარას გვიშველის! ვეცადოთ—გავშნევდეთ და ყოჩაღად ავიტანოთ ეს უბედურება.

ბავშვი ბებუის წინ დაეშვა და თავი მის კალთაში ჩამალა.

— ჩემო ბები, რანაირად მტანჯავს ეგ ამბავი! ალბად მინისტრს დაავიწყდა!. მე კი მეგონა, არ დაივიწყებდა მეთქი!. ისე ტკბილად დამიხვდა, ისე ზრდილობიანად მომეპყრა!.. როგორ ვიფიქრებდი, თუ დაავიწყდებოდა! დაპირებით-კი არ დამპირებია, მაგრამ თითქოს ვგრძნობდი, გვიშველიდა... ველოდი შევლას!. მაგრამ რაღა დროს?.. აგერ ოთხი თვე გადის მას შემდეგ.

ბებუამ აღერსიანად დაუწყო თავზე ხელის სმა და ტკბილად უთხრა:

— ჩემო ბიკიკო! მართლა დარწმუნებული-კი ხარ, რომ ნამდვილად ნახე? დარწმუნებული ხარ, რომ ეგ ამბავი სიზმარში არ გჩვენებია?

ბავშვმა სწრაფად აიღო თავი მალლა; მისი მკრთალი და გამხდარი სახე ერთბაშად აენტო, თვალები საშინლად უელავდა.



ერეკლესული
ქვემოთ

— რასაკვირველია, ვნახე, ვნახე და ველაბარე! შინ მოგიყვები და გიამბე ყოველივე? თუმნიანი ოქროც მადლია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გამოვართვი! ახლა-კი ვნანობ, რომ არ გამოვართვი: თუღს რომ მოვიტანდი, მაშინ დამიჯერებდი... ბავშვის მთელი სხეული ძაგძაგებდა მწუხარებითა და აღელვებით.—რანაირად იფიქრე, ჩემო ბები, რომ მე ვიცარუე!.. შენც არ მიჯერებ, შენც!! რანაირად შეგიძლია ჩემზე ასეთი გქვი იქონიო?.. შენც ისე ფიქრობ, რომ მე ტყუილის თქმა შემიძლიან!.. —საშინელის მწუხარებით იმეორებდა ბავშვი.

— არა, ჩემო გვრიტო, არა, მჯერა, რომ ტყუილის თქმა არ შეგიძლია... მჯერა შენი, ყველაფერს დაგიჯერებ!.. არც ერთი ჩემი გაზრდილი ბავშვი არასოდეს არასტყუოდა, შენც მართალი ბავშვი ხარ, ეს მე კარგად ვიცი,—ბუტბუტებდა აღელვებულის ხმით საწყალი მოხუცებული; მაგრამ ბავშვებს, შენ გენაცვალე, სიზმარი ხშირად იერევათ ხოლმე ცხადათნანახში და მეც ვფიქრობდი, ეგებ ჩემ ბიჭუნასაც ასე მოუვიდა მეთქი! აბა, სიცრუეს როგორ დაგწამებ, ჩემო ძვირფასო!



— ღმერთო, ღმერთო, რითი უნდა დაგიმტკიცო, რომ მართალს ვამბობდი? — სასოწარკვეთილებით იმეორებდა ბავშვი! იცოდე, ბები, ყველაფერი მართალი იყო, რაც ვითხარი! მე ხომ არ მითქვამს, შემპირდა დახმარებასა მეთქი? მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რაც ვნახე და გავიგონე! ყვავილებისათვის რომ ისე იზრუნა, ვიფიქრე, ჩვენის საქმისათვისაც იზრუნებს მეთქი.

IX

სარა ბოკერი დიდ მწუხარებაში იყო: გარრი მძიმე ავადმყოფი ჰყავდა. ბავშვის ავადმყოფობა საბუმრო ალარ იყო. სარას იმის ექვიც ჰქონდა, ბავშვს ტენიც არ შეერყესო; დარწმუნებული იყო, რომ ბავშვს ეს ამბავი მოელანდა ამ დროს, როცა დაღალულ-დაქანცულმა და აღელვებულმა მიიძინა საღამე ბაღში ან საღამე კიბის ქვეშაო.

ამგვარი ავადმყოფობა რომ არსებობდა, ეს სარამ კარგად იცოდა და გაგონილიც ჰქონდა ამბად. ისიც იცოდა, რომ ამნაირ სენს ექიმობაც თითქმის არ მიუდგებოდა.

საწყალი ბებია მღუმარედ იჯდა ბავშვთან და წყნარად ფურჩქნიდა ავადმყოფის ქოჩორა თავს. გასაშტერებელი სანახავი იყო ამ პაწაწა ადამიანის ასე უზომოდ დანადგლიანებულ-დაფიქრებული ერთი ნამცეცა სახე! იმათ ოთახის პირდაპირ მოსჩანდა ეზო და ბკისკარი.

ბებია უეცრად შიაჩერდა ბკისკარს. ბკისკართან იდგა ჯონი და ელაპარაკებოდა ვიღაც უცნობს, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩაცმულობით დიდის კაცის მსახურს.

უცნობმა ჯონს გადასცა რაღაც დიდი, ლამაზად შეკრული ამანათი და თვითონ გაბრუნდა ეზოდან. სტერნი გაშტერებული იდგა ერთ ალაგს, თითქო ჩასობილია მიწაშიო; ვაკვირვებით ჩასჩერებოდა ამანათს და დიდხანს ადგილიდან დაძვრას ვერ ახერხებდა... ბოლოს, როგორც იყო, ჯონი დიდძალი ალაგიდან და ძლივ-ძლივობით წახანხალდა სარას ოთახის



კარებისაკენ. საბრალო მოხუცი საცოდავად მიბრუნდა მგტის მღელვარებისაგან.

თავ-შესაფარის ყველა ფანჯრებს მისწყდომოდნენ მოხუცებულები და გაკვირვებით უცქეროდნენ ჯონს, რომელსაც უცნაური რაღაც მიჰქონდა სარჩას ოთახისაკენ.

— გარრი, გარრი, — აღელვებულის ხმით მოჰყვიროდა ჯონი, — შეჭხედე, საჩუქარი მოგივიდა პირველ მინისტრისაგან! ამის მომტანმა მითხრა, გადაეცი ყველას, რომ აქვე დარჩებით თქო, ვერაფერს ხელს ვერ ახლებს აქაურობასაო! — ასე შემოაუთვლია პირველ მინისტრს!!

გარრი ისეთის სისწრაფით წამოიქრა ზეზე, თითქოს ელექტრონმა გაუარა ტანში და დაუბრუნა სიცოცხლეო.

— ჰო, ახლა დაიჯერებთ, ახლა ხომ ყველა დაიჯერებთ? — საშინელის მწუხარებით დაიყვირა ბავშვმა და უგრძობლად დაეცა გულშემოყრილი.

გარრი რომ გონს მოვიდა, თავის ქვეშაგებში იწვა და მის ხუტუქ თმებს შვის ბრწყინვალე სხივი ეაღერებოდა.

გვერდით საუცხოვოდ ნაკეთები ხის მშვენიერი ყუთი ედგა, რომელშიაც ჩალაგებული იყო კობტა, ლამაზი საბალოსნო იარაღი: ნიჩბები, თახები, დანები, ბარები და სხვა, ერთი მეორეზე ულამაზესი, თვალწარმტაცი ხელსაწყოები; ყველა საგანგებოდ გაკეთებული იყო და იმ სიდიდისა, რომ პატარა ბავშვს შესძლებოდა იმათი ხმარება. სარკე სავით გაპრიანებულ ყუთის სახურავში ვერცხლის ფიციარი იყო ჩასმული, რომელზედაც ლამაზის ასოებით ეწერა ის დღე და რიცხვი, როდესაც გარრი ლონდონში იყო და მინისტრი ნახა; ბოლოში კი შემდეგი სიტყვები იყო დაწერილი: „პატარა გაბედულ ბავშვს“.

— ხომ ვსთქვი, არ დაივიწყებს-მეთქი, ხომ ვსთქვი?! — იმეორებდა ქვეშაგებში წამომჯდარი ბავშვი და მისი მშვენიერი სახე ახლა სიხარულით იყო გაბრწყინებული და ჩამამავალის მზის შოელვარე სხივებით განათებული.

მის გარშემო შეჯგუფულნი იდგნენ თითქმის პუფლიანი თევ-შესაფარის მცხოვრებნი და გაკვირვებით ეუბნებოდნენ:

— შენ შესანიშნავი კაცი იქნები, გარრი, შენ დიდი ვინაჲ იქნები...

— მე მებაღე ვიქნები, — უპასუხა ბავშვმა და დაუმატა: ვერ გამოვიდა, რაღა ჰფიქრებდით, რომ მე ვსტუფოდი?

მერე პირი იქით მიიბრუნა და თავის ბაღში გაემართა, სადაც მისი საყვარელი პრიმიც ერთის ბუჩქის ქვეშ დაუხვდა წაწოლილი.


— რა საუცხოვო ყვავილებს გავაშენებ ახლა მისთვის, ჩემო პრიმო! — ჩასჩურჩულებდა გარრი კატას: ჩვენი ქოხები ხომ იმან გადაარჩინა დანგრევას.

პრიმი ნებივრად გაიზმორა ბაღახზე და სრულისმჭრჩილებით აპყვა ბავშვის თამაშობას.

იქვე, მახლობელ ბუჩქზე, ჩიტმაც სადღესასწაულო ტკბილი გალობა დააწყებდა...

ნინო შარაშიძე.





მეურმე და მგზავრი

(იგავი)



მეურმემ შემოდგომაზე ქალაქში ურმით დღინო ჩაიტანა. უკან ცარიელ ურმით დაბრუნდა. გზაზე ფეხით მომავალი მგზავრი შეხვდა.

— ძმობილო, სარულით მოვიქანცე, ურემზე დამისვი და რაც გინდა ქირა გამომართვი, ჩემი სოფელი აქვე ორ ნაბიჯზეაო, — უთხრა მგზავრმა.

— დაჯექ, შენი არაფერი მინდა, — მიუგო მეურმემ, — აბა, ორ ნაბიჯზედ რა ქირა უნდა გამოგართვაო.

როცა მეურმემ თავისს სახლს მიადწია და საქონლის გამოშვება დაიწყო, უკან მიიხედა — ის მგზავრი ისევ ურემზე იყო წამოსკუპებული.

— კაცო, თითქო შენი სოფელი ორ ნაბიჯზე იყო; ჩემ ბინამდის ურემს როგორ-ღა შერჩი?

— რა ვქნა, შენიჭირიმე, — მიუგო მგზავრმა, — თუმცა სოფელი ერთის დღის სავალზედაც დამრჩა, მაგრამ მუქთად რომ წამომიყვანე, იმან წამახალისა და, საცა საჭირო იყო, ვეღარ ჩამოეხტო.

— მაშ, კარგი, — მიუგო გაკვირვებით მეურმემ, — რაკი მუქთაობა ასე გყვარებია, მეორე შემოდგომამდე მანდ იჯექ, კიდევ დამჭირდება ქალაქში ურმით წასვლა და მაშინ ისევ უფასოდ დაგაბრუნებ შენს სახლამდე.

აღ. მირიანაშვილი





იაპოზ გობეზა- უვილი.

აც გინდა პატარა იყოს ერი, მაინც
დიდი მერმისი მოელის, თუ სწავლა-
განათლების საქმეს ჯეროვანი ყურა-
ღდება აქვს მიქცეული. ახალი თაობა,

ბავშვები — ის ქვა-კუთხედი აყვლა საზოგადოებისა, რომელ-
ზედაც უნდა იყოს აგებული მშვენიერი და მძლავრი შენობა
ერის კეთილ-დღეობისა. დღევანდელი გამოჩენილი მოღვაწე,
ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი რუშველტი
ამბობს, ის ფაქი, რომელიც საკმაოდ ზრუნავს სკოლებისათვის,
პირველ და საუკეთესო ფრად უნდა იქმნას მიჩნეულიო. მაშ,
რა პატივისცემის ღირსი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც მთელ
თავის სიცოცხლეს ანდომებს ამ სწავლა-განათლების კარგად
მოწყობის საქმეს, პატარა ბავშვს უმსუბუქებს ანბანის შეს-
წავლას, აყვარებს წიგნს და ასწავლის, წიგნი საუკეთესო მეგო-
ბარია ადამიანისაო.

გამოჩენილი პედაგოგები კომენსკი, პესტალოცი იყვნენ
დიდებული მით, რომ უყვარდათ ბავშვები, ყველა ბავშვი,
ღარიბი თუ მდიდარი, ნიჭიერი თუ უნიჭო, საღი თუ ავად-
მყოფი; ყოველი ბავშვი მხოლოდ მართლა კეთილ მასწავლებ-
ლის ხელში ადამიანად გარდაიქცევა და დაავიწროვინებს მას-
წავლებლის ხანგრძლივ მუშაობასაო.

გამოჩენილი პედაგოგები ბავშვების აღზრდა-განათლება-
ში დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ დედა-ენას, დედა-ენის



იაკობ კუჭუბუკი

შესწავლას, დედა-ენაზე სწავლის დაწყებას. კომენსკი, — ეს დიდებული მასწავლებელი, — პესტალოცი, — ეს ბავშვების მე-

გობარი, მათი მესაიდუმლე, დედა-ენის შესწავლაზე ამყარდება ბავშვის ნამდვილ და გონიერ განვითარებას. ჩვენდა სასახელოდ, ჩვენცა გვყავს ასეთივე მეგობარი ჩვენის ბავშვებისა, რომელიც სულ იმას გვეუბნება, შეისწავლეთ თქვენი დედა-ენა, თუ გსურთ გამოხვიდეთ ნამდვილი მამულის შვილებიო. ეს მეგობარია იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი, რომელიც აგერ 45 წელიწადია, რაც გამოვიდა პედაგოგიურ ასპარეზზედ. ამ სახელის გაგონებაზე ყველას მოგაგონდებათ ერთი წიგნი, რომელსაც ასეთი ლამაზი სახელი აქვს: „დედა-ენა“. ვის არ დაუწყევია ჩვენში სწავლა ამ წიგნით, რომელს თქვენგანს არ გაუსეამს თავისი პატარა თითი პირველისავე სტრიქონისათვის და არ ამოუკითხავს ლამაზი ია, აი ია?!

ამ წიგნის დამწერის სახელი არ უნდა დაივიწყოთ. დედა-ენასთან ერთადა გაქვთ შესწავლილი მისი სახელი.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 15 ოქტომბერს 1840 წელსა შუა-გულს ქართლში, სოფ. ვარიანს. მამა მისი იყო იქაური მოძღვარი, მოძღვარი ნამდვილი, მორწმუნე, ძველებური; დედაც ძველებური ქართველი ქალი იყო.

იაკობი პირველად გარის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, მერე ტფილისის სასულიერო სემინარიაში. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ, კიევის აკადემიაში გაემგზავრა და იქ განაგრძო უმაღლესი სწავლა. სასწავლებელში საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. შეისწავლა სხვა და სხვა მეცნიერება დაწვრილებით, რომ ნამდვილი პედაგოგი გამხდარიყო, შესძლებოდა სწავლაში სახმარის წიგნების შედგენა და მით მოზარდ. თაობაში კეშმარტის კოდნის ვაერცვლება. იაკობ გოგებაშვილი კითხულობდა საუკეთესო ნაწერებს, როგორც რუსთა მწერლებისას, ისე უცხოეთისას; ითვისებდა გერმანულ ფილოსოფოსთა დიდებულ აზრებს. უყურადღებოდ არ დაუტოვებია სპენსერი და დარვინი. ბეჯითად სწავლობდა ასტრონომიას, ბუნების მეტყველებას, ფიზიოლოგიას, ანატომიას.



ქართული
ენების
აკადემია

გრძნობდა, რომ არაეინ არ უნდა აღევნოს იმდენად მძიმე
ყური თავის განვითარებას, განათლებას, რამდენადაც ნამ-
დვილმა მასწავლებელმა. ასე ბეჯითად იძენდა ცოდნას და
სცდილობდა ეგ ცოდნა გამოეყენებინა თავის სახელმძღვანე-
ლოებში, რომელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს „ბუ-
ნების კარს“, საცა, როგორც თვით მისი სახელწოდება მო-
წმობს, ბუნების შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი.
იაკობ გოგებაშვილმა და მისმა სახელმძღვანელომ ასწავლა
ბავშვს ბუნების სიყვარული, აღძრა მისი ცნობის მოყვარეობა,
მისცა პასუხი იმისი, თუ რა არის წვიმა, თოვლი, ორთქლი,
როგორ ჩნდება ქარი, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის
მცენარეებს, პირუტყვებს, რა არის სოფელი, ქალაქი და
ხზვა და სხვა....


როგორც ჰხედავთ, იაკობ გოგებაშვილი სცდილობს
გაუღვიძოს და გაუძლიეროს ბავშვს სიყვარული ბუნებისა,
რადგან კარგად იცის, რომ უდიდესი და უპირველესი მას-
წავლებელი, უდიდესი ხელმძღვანელი ადამიანისა ბუნებაა.
იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ასე უყვარს ბავშვი, სწერ-
და არა მარტო სახელმძღვანელოებსა და სხვა და სხვა პედა-
გოგიურ წერილებსა, არა, ამას არ დასჯერდა; არ იყო
ისეთი მწვავე საკითხი, ისეთი საჭირ-ბოროტო რამ, რაც
აღელვებდა ქართველ საზოგადოებას, რომ იაკობ გოგება-
შვილს წრფელის გულით და ღრმა მოაზრებით არ გაერკვია,
არ გაეშუქებინა.

გარდა ამისა, სწერდა აგრედვე საყმაწვილო მოთხრობებ-
საც. რომელს თქვენგანს არ უტირია საცოდავ პატარა ქე-
თოს თავგადასავალის წაკითხვის შემდეგ „ივე-ნანამ რა ჰქნა“?!
ის ხომ გოგებაშვილის დაწერილია, მშვენივრად, პოეტურად
მოქარგული ამბავი დაკარგულის ბავშვისა, რომელსაც დედის
ტკილმა ნანამ მოაგონა სამშობლო ქვეყანა, დედა-ენა,
დედ-მამის სახლი.



ვიმეორებ, იაკობ გოგებაშვილი თქვენი საუკეთესო ნაწარმების
 გობარია, თქვენი ტკბილი მამაა, რომელიც ცდილობს თქვენს
 კარგს ადამიანობას. მაშ, უსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და
 ალუთქვით, რომ „დედა-ენა“-ს არასოდეს არ დავივიწყებთ და
 მუდამ ღრმად გვექნება გულში ჩაბეჭდილი.

ა. ფალავა





ნატალია მერაბის ასული მგებნია მამბრლიძე.

(ნეკროლოგი)



ღმობტლმა სიკვდილმა თითქო ჩვენზედ მოი-
 ცალა! გვაკლდებიან ზედი-ზედ საუკეთესო
 მოღვაწენი, ქვეყნისათვის სასარგებლო და
 გამოსადეგნი კაცნი და ქალნი; გვაკლდე-
 ბიან არა მაშინ, როცა ღრმად მოხუცნი
 არიან და აღარ შეუძლიანთ მუშაობა და
 მხნეობა, არამედ მაშინ, როცა ჯერაქიდევ
 სავსენი არიან ჯანით და ღონით, როცა
 ნიკი მათი ფართოდ არის გადაშლილი და
 უნარი მოქმედებისა ძალ-მოუკლებელი.

აი, ნატალია მერაბის ასულიცა. სად იყო ჯერ მოხუ-
 ცი, მეფე უმეტეს დაუძღურებული, თავის ასპარეზზედ მოღ-
 ვაწეობის უნარს მოკლებული! მხოლოდ შუა ხნის ადამიანი
 იყო, სულ 50 წლისა, დაუღალავად და ხალისით მშრომელი,
 თუ დიდს სცენაზედ ტფილისში, თუ სახალხო სახლის თეატ-
 რში, თუ ვერისა და ავქალის აუდიტორიაში და ბევრგან
 სხვაგანაც პროვინციაში. სიკვდილმა-კი მაინც არ დაინდო და
 მოგვტაცა.

ნატო დაიბადა გორში და გორშივე გაატარა თავისი
 ყმაწვილ-ქალობა. სწავლა დიდი არა მიუღია-რა, მაგრამ ბუ-
 ნებით ნიჭიერი იყო, ცოცხალისა და ხალისიანის ხასიათისა,
 თამამი და გაბედული. ისე-კი არ იქცეოდა, როგორც ბევრი
 მაშინდელი იმის ხნის ყმაწვილი ქალები.

ასეთის ხასიათისა იყო ნატო და ამ მხრივ სრულიად არა
 ჰგავდა თავის მეუღლეს, ასიკო ცაგარელს, რომელიც თუმცა

დიდი კომიკი იყო და იუმორის ნიჭით დაჯილდოვებული,
პინც ერთობ შორცხვი და წყნარი კაცი იყო.



ნატალია შერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

სცენაზე გამოსვლას და თამაშობას უშლიდნენ მამა და
ზოგიერთნი ნათესაენი ახალგაზრდა ნატოს, მაგრამ ნატომ



ქართული ენციკლოპედია

მინც არ დაიშალა. ყმაწვილი ქალი გაიტაცა თეატრში, საუცხოვო ვართობამ და დროს გატარებამ. ეს იყო 1877—78 წწ. მაგრამ, აი, დაარსდა სამუდამო დასი ტფილისში და ამ



ავტ. ცაგარელი.

დასში მოჰყვა ნატოცა ესრედ წოდებულ ბებრების კომიკურ როლების აღმასრულებლად. აქ-კი გადიშალა ნატოს ნიჭი სავსებით და ნატოს დაკვირვებულმა თამაშობამ, მშვენიერ ქართულის კილომ და ჰიესის მომკმედის ხელოვნებით განხორციელებამ გააოცა თეატრში მოსიარულენი, გაიტაცა ხელოვნების მოყვარულნი და დამფასებელნი.

ნატო გაჰყვა მეუღლედ ჩვენს, მა-

შინ ახალგაზრდა დრამატურგს და მსახიობს ავტ. ცაგარელსა, მაგრამ რადგანაც არც არტისტობა

და არც დრამატურგობა არ იძლეოდა იმდენ სახსარსაც-კი, რომ თბივი ერჩინათ, ასიკო ლუკმა პურისათვის შევიდა რკინის გზის სამსახურში. ვიდრე ტფილისში მსახურებდა, ნატოც იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში, ხოლო როცა მისი ქმარი პროვინციაში გადაიყვანეს, ერთ მიყრუებულ და ციებ-ცხელებიან ადგილას, სცენას მოაკლდა მისი მშვენება და ნიჭიერი თამაშობა. ბედად, ამ განშორებამ დიდხანს არ გასტანა და ცოლ-ქმარნი კვლავ დაუბრუნდნენ ტფილისის სცენას.

ნატოს თანდათან უფრო გაუძლიერდა სიყვარული სამშობლო სცენისა და მისმა ღირსეულმა მეუღლემაც დიდად შეუწყო ხელი იმის ნიჭის გადაშლასა და გადაფურჩქენას. პირველ მის პიესას, „რაც გინახავს—ველარ ჰნახავ“, საცა ნატოს უმნიშვნელო როლი ჰქონდა, მოჰყვა, სხვათა შორის, „ხანუმა“, რომელშიაც საუკეთესო როლი ნატოსა ჰქონდა. „ხანუ-

მა“ ისეთი სასცენო და სარეპერტუარო პიესა აღმოჩნდა, ვგონებ ცოტაოდნად შესაძრევი დაბაც-კი აღარ დარჩა საქართველოში, „ხანუმა“ არ წარმოედგინოთ და, თუ მოხერხება იყო საიდანმე, თვით ნატო არ მიეწვიოთ ხანუმას როლის ასასრულებლად. და, აი, ნატოც დაუზარებლად, მხედ და ხალისით კისრულობდა თამაშობას უკანასკნელ ხანამდე ხანუმას როლისასაც და სხვა თავის შესაფერ როლებსაც.

მეუღლე თვისი ნატომ დაჰკარგა ამ რვა წლის წინად. სამძიმო იყო მისთვის ასიკოს დაკარგვა. ასიკო ხომ მისი მეუღლეც იყო, მისი ამხანაგიც და თანამოღკაწეც სცენასა და თეატრში. მაგრამ ამ გარემოებამ მინც გული არ გაუტება მხე ნატოს და კვლავ განაგრძო ის საქმე, რომლისათვის მოწოდებული იყო.

ასე გავიდა 30 წელიწადი და ნატოც სიყვარულით ეკედებოდა სამშობლო სცენას, დაუცხრომლად მუშაობდა და არ იცოდა, დაზარება რა იყო. საზოგადოებამ დააფასა ასეთი მისი მხნეობა და დამსახურება სასცენო ხელოვნების წინაშე და დიდის ამბით გადიხადა მის მოღვაწეობის 30 წლის იუბილეი შარშან ნოემბერში.

ნატოს შვილი არა ჰყავდა და ამიტომ მთელი თავისი დედობრივი გრძნობა, დედა-შვილური ჯიგარი სათეატრო ხელოვნებაზედ დაჰყარა. სცენა შეიყვარა ნატომ მთელის თავისის ძალღონითა, გულითა და გონებითა. ის იყო მისი ძე და ასული საყვარელი, მისი სახელი და დიდება, მისი სიქადული.

და მხოლოდ ამისთანა სიყვარულს შეუძლია დაჰბადოს ის დიდი მხნეობა, ის დაუღალავი და დაუზარელი მუშაკობა და არაფრად ჩავდება არც შიმშილ-წყურვილისა, არც ხელმოკლეობისა და სიღარიბისა, არც ტანჯვა-მწუხარებისა, რომელსაც გამოივლიან ხოლმე ამისთანა სულით ძლიერი ადამიანები.

დიდება და სახელი ამისთანებს! დიდება და სახელი იმითომ, რომ თუ კეთდება რამე ქვეყნად მკვიდრი და საბოლოო, საშვილიშვილო და მარად კეთილად სახსენებელი,




კეთდება მხოლოდ საქმის უსამზღვრო სიყვარულით, მზნობით, შეუმუსვრელის ენერჯითა და გამუდმებულის მას-ვრალობითა.

საუკუნოდ იყოს ხსენება ნატოსი, დიდის არტისტის ქა-ლისა და ქართულის თეატრის დედნ-ბოძისა!

გრ. ყიფშიძე.




ვახუტია-ცაგარლიხა, — (ხანუმას როლში).



მითღობია

ბრძოლის ომი

ბრძოლის განახლება.



დისევსისა და დიომედესის ტროადელთა ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ, ელლინთა მთავარ-სარდალი ომის თავდარიც შეუდგა. მეორე დღესვე აგამემნონმა გაუთენებლივ შეჰყარა თავისი ძღვევა-მოსილი მხედრობა ბრძოლის ველზედ და თვითოეულს მხედარს ამხნევებდა მტერთან სამკედრო-სასიკოცხლოდ შესაბრძოლებ-

ლად. ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალიც საბრძოლველად ეშხადებოდა და სხვებთან ერთად გამალებით იმოსებოდა საომარ ტანთსაცმელითა და იარაღში ჯდებოდა.

მძიმედ შეიარაღებული აგამემნონი საუცხოვო სანახავი იყო. ქალღმერთებმა ჰერამა და ათინამ, შენიშნეს თუ არა ბრძოლის ველზედ აქაველების მთავარ-სარდალი, გმირთა ძლიერების პატივსაცემლად, ცაში მძლავრად დაიგრგვინეს. ქვეითა ჯარის კაცები დაერაზმნენ ბანაკს შემოვლებულ ღრმა თხრილის პირად, ხოლო ცხენოსანი ჯარი კი ქვეითა ჯარს ზურგს უმაგრებდა. თვითოეულ რაზმის სარდლები მხნედ და მამაცად ამხნევებდნენ ჯარის კაცებს და თვითოეულს მათგანს გამარჯვების იმედს უნერგავდნენ გულში.



ელლინთა ბანაკის მოპირდაპირე მალლობ ზორაჯედ ტროადელების მხედრობაც საომრად ემზადებოდა. ტროადელების სარდლები არა ნაკლების მხნეობით იჭერდნენ თავდარიგს და სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მხედრობას ამხნეებდნენ. ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალი ჰექტორი ძღვეა-მოსილ მხედრობას გარს უვლიდა და პირადის გაბედულებით და მხნეობით მეომრებს გულში გამარჯვების იმედს ღრმად უნერგავდა.

მხემ თავისი დიდებული სხივები დედამიწას უკვე უხვად მოჰფინა. სამკდრო-სასიცოცხლოდ გამზადებული რაზმები ბრძოლის ველზედ გაემართნენ და თავდავიწყებით ერთი მეორეს შეეჯახნენ. ელლინთა და ტროადელების მხედრობა თანაბარის სიმამაცით იბრძოდნენ. საშინელს სურათს წარმოადგენდა ამ დროს ბრძოლის ველი. დედამიწა ერთიანად ზანზარებდა. მეომრები თავდავიწყებით ერთი მეორეს ეხლებოდნენ და მოსისხლე მტერს მამაცურად უმკლავდებოდნენ. ყველგან კვნისა და წუხილის ხმა მოისმოდა, მაგრამ მოსისხლე მტერი კი მაინც ბასრ მახვილს ხელს არ აშორებდა. შუადღემდის საშინელი ბრძოლა არ შეწყვეტილა. გამარჯვება ხან ტროადელების ხან კი ელლინთა მხედრობისა მხარეზედ იყო. ხოლო შუადღისას, როცა ორივე მოსისხლე მხედრობა ძალზედ დაიქანცა, ელლინთა რაზმების სარდლებმა მოიკრიბეს უკანასკნელი ძალ-ღონე და სამკდრო-სასიცოცხლო იერიში მიიტანეს ტროადელების რაზმებზედ. გაბედულმა თავგანწირულებამ შეაშფოთა ტროადელების რაზმები. ელლინთა ძღვეა-მოსილმა მხედრობამ გაარღვია ტროადელების მკიდრო რაზმები და ჯოჯოხეთის გენია დაატრიალა მათ შორის. შეშინებული და თავზარდაცემული ტროადელების მხედრობა უკუ იქცა. სამარცხვინოდ უკუქცეული მხედრობა შეჩერდა მხოლოდ სკეის ბჟის კარებთან, ღმერთების მამათმთავრის ზევსის სურვილის თანახმად, ჰექტორის ბრძანებით. სწორედ ამ დროს ზევსმა დასტოვა თავისი სამფ-

ლობელო და ბრძოლის ველის მახლობელ გორაკზე დადგა. ღმერთების მამათმთავარმა დაუყონებლივ მოიხმო თავისი ოქროს ფრთიანი შიკრიკი ირისი და ასე უთხრა: „დაუყონებლივ გადაეცი ტროადელების მთავარ-სარდალს ჰექტორს, რომ სანამ ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალი აგამემნონი ბრძოლის ველზე იმპვიწვარებს, ჰექტორი მოერიდოს ბრძოლის ველს და აგამემნონს თავი მოარიდოს. ხოლო როცა აგამემნონი დაიჭრება და თავის ეტლისაკენ გაეშურება, მხოლოდ მაშინ თავს დაეცეს ჰექტორი აგამემნონს, მხოლოდ მაშინ ვარგუნებ გამარჯვებას ტროადელების მთავარ-სარდალს“!

ა. შიკაბერიძე





ქართული
ენების
საქართველო

დედა-მიწის აღსარება.

დედამიწის სიბველე — სიღრმის და დეჰუმენის ხანძგუ.


III

ადიოდა საუკუნოები, ათასი და, შეიძლება, მილიონი წლებიც. პირველ ყოფილი ზღვე-
ზი სიღრმის დროისა ფუთფუთებდა
კიბოს მსგავს ცხოველებით, ტრილო-
ბიტებით, რომლებიც, როგორც კლი-
სი ინფუზორიებისა, (პატარა მიკროს-
კოპიული ცხოველებისა, ესე იგი ისეთები



რომლის დანახვაც შე-
იძლება მხოლოდ მიკ-
როსკოპში ანუ გამადი-
ლებელ შუშაში), კმა-
ყოფილდებიან ცხოვ-

რების სრულიად მცირე მოთხოვნილე-
ბით. ამათი მონათესაფენი — შახვილ-ბო-
ლოიანები, შიმშერები და სხვ. ჩვენს
დროშიაც შეგვხვდება, მხოლოდ ზღვის
უფსკრულის სიღრმეში არა ნაკლების
ნათესაობის უფლება აქვთ ამათთან
უმსგავსს სიპინის მაგვარ არსე-
ბათ ლოკოკინისებურ სახლით,
რომლიდგანაც ბოლოს განვი-
თარღნენ **ამმონიტები**, ნიყარი-
ნი ცხერის რქასავით მოგრები-
ლი ცხოველები.



მიკროსკოპი



დედამიწა სიუ ურიის ხანაში. ნაპირებზეა ტრილოდიტები
და კიბოს მაგვარი ცხოველები

წყალში ცურვა იმდროს არაეინ არ იცოდა. მაშინ მხოლოდ მგლინავი ცხოველები ფუსფუსებდნენ ზღვის ფსკერზე და არც ერთი ადვილად მშობრავი ონავარი თევზი არ უშლიდა მათ განვითარებას. ხანდახან კიბოს მაგვარი ცხოველები ზღვის ფსკერიდან ხმელეთზე მოჰყვებოდნენ. ვინც უფრო ძლიერი იყვნენ მათში და რჩებოდნენ პატარა შლამიან წყალში, რომელიც ხანდახან შრებოდა კიდევ, ვგუებოდნენ ახალ ცხოვრების ვითარებას, სუსტები-კი, რომელთაც არ შეეძლოთ შეუწვეველ გარემოებაში არსებობა, ბრძოლაში იღუპებოდნენ. თანდათან გარშემორტყმულ გარემოებათა ცვლილების გავლენით იცვლებოდა ბრძოლაში გადაარჩენილ პატარა ცხოველების სხეულის აგებულებაც. რასაკვირველია, ამისთანა ცვლილება ხდებოდა ძლიერ ნელა და შეუმჩნეველად, მაგრამ



დროს განმავლობაში ყველა ეს მცირე ცვლილებანი და დიოდნენ მემკვიდრეობით შთამომავლობაზედ და იწვევდნენ შესაძინევს ცვლილებას თავიანთ პირველ წინაპრებთან შედარებით. შტკუება, რასაკვირველია, სწარმოებდა სხვა და სხვა გზით, იმის მიხედვით, თუ რაგვარ უპირატესობას გამოიჩინდა ესა თუ ის ცხოველი არსება ახალ გარემოებაში საბრძოლველად; ისინი ვითარდებოდნენ და თავის გამოცდილებას თანდათან გადასცემდნენ შთამომავლობას, რომელშიაც დაულალავი შეგუება ცხოვრების ვითარება და ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. ის ცხოველი არსებანი, რომელთაც არ შეეძლოთ აეტანათ ცხოვრების ახალი პირობები, რადგანაც ამისათვის არ იყვნენ მომზადებულნი, უნდა გაწყვეტილიყვნენ, მაშასადამე, ვერც სტოვებდნენ შთამომავლობას, რომელთაც მემკვიდრეობით უნდა გამოჰყოლოდათ წინაპართა თვისებანი.

ამ სახით, ბუნება თითქოს განგებ არჩევდა საუკეთესო, სიცოცხლის ნიჰით სავსე არსებათ, რომელთაც უნდა ჰქონოდათ რამე სასარგებლო განსაკუთრებული თვისება, ან რაიმე უპირატესობა თავიანთ მონათესავეთა შორის; უამისოდ უნდა გამქრალიყვნენ სამუდამოდ. აქ, მაშასადამე, ხდებოდა რალაც იმის მსგავსი, როდესაც საქონლის პატრონი საუკეთესო პირუტყვს არჩევს და მოსაშენებლად სტოვებს, სხვებს კი ჰყიდის ან ჰხოცავს. მაგრამ აღამიანი შეგნებით არჩევს პირუტყვებს, ბუნებაში-კი ეს **შერჩევა** თავისთავად სწარმოებს **ბუნებრივ შერჩევის** ძალით, რომელიც შეადგენს მომქმედ ძალას და იჩენს გავლენას ორგანიულ ქვეყნის განვითარებასა და დასრულებაზედ.

ამნიარად, თანდათანობით, ძლიერ ნელის ცვლილებით, რომელსაც აზრდა აქვს ქვეყნიურ ცხოვრების ვითარებასთან შეგუება, შეიძლებოდა, მაგალითად, კიბოსაგან წარმოშობილიყო ხმელეთის პირველი ქმნილება—მორიელი. სილურიის ხანაში ჩნდებიან ერთი მეორეზე უფრო უმსგავსი მწერის მაგვარი ქმნილებანი, რომელნიც დაცოცავენ და თხუნელასავით

დაძვრებიან შლამში. ესენი ისეთს საკვირველ არსებებს წინა
 მოადგენენ, რომ დღეს, როცა იმათ შთამომავლობას ბუნებით
 შემკულს ქვეყნიერებაში შევხვდებით, ძლივს-ღა გვჯერა, რომ
 გადმოსულნი არიან უცნობის და დიდი ხნის გამქრალ ქვე-
 ყნიდან, სადაც არ იყო სინათლე — წყარო ყოველის მშვენიე-
 რებისა.

დავსტკერით გონების თვალით ჩვენს წინ გადაშლილს
 პირველ-ყოფილ ბუნების უნუგეშო სურათს; ჩვენ შევნიშნავთ
 ღრუბლების გაძლიერებულ მოძრაობას; მქიმე, შავი ღრუბ-
 ლები ერთმანეთს ეომებიან, ზოგან ირღვევა წყვდიადის ზე-
 წარი, სინათლე ატანს ღრუბლის სქელს ფარდებში. მზის
 სხივების სასწაულ მოქმედებით, ზედამიწა, მანამდის სოკოე-
 ბით დაფარული, რომელიც ერთად ერთი წარმომადგენელია
 მცენარისა, რომელსაც კი შეუძლიან უსინათლოდ არსებობა,
 მწვანედ იმოსება. წყლის მცენარეები მოეფინება ქაობიან
 ნიადაგს და მთის კლდე-ღრეები ხავსით იმოსება. ეს არის
 ერთად ერთი პირველად აღმოჩენილი კვალი პირველ-ყოფილ
 მცენარეთა ცხოვრებისა.

იწყება ესრედ წოდებული დევონის ხანა დედამიწის
 ისტორიაში. — ცეცხლის ყოველად გამანადგურებელი ძალა,
 რომელიც წინად მთელს დედამიწას იპყრობდა, ჯერ კიდევ
 სრულიად შებოქილი არ არის; ჯერ კიდევ ბობოქრობს გა-
 მფეფხულ წყალ ქვეშ. ბევრს ადგილას, სადაც დედამიწის
 ზედა პირი ჯერ კიდევ გამაგრებული არ იყო, მიწის შუაგუ-
 ლი სიცხე შეუჩერებლად იკვლევდა გზას და ცეცხლის ნაკა-
 დულივით ამოვარდებოდა ზევით და იფანტებოდა წყლის სი-
 ვრცეში. ძნელი წარმოსადგენია, რა საშინელი ბრძოლა უნდა
 ყოფილიყო მაშინ ამ ორ სტიქიონს შორის. ქეკა-ქუხილი,
 ძლიერი აფეთქება, რომლის შესახებაც მკირე წარმოდგენაც
 კი არა გვაქვს, დაუცხრომლად აყრუებდა არე-მარეს. მთელი
 ზღვა დუღდა, შიშინებდა, ბობოქრობდა და იმ წამსვე ორთქ-
 ლად და ნისლად იქცეოდა, რომლიდანაც თავდაპირველად



წარმოიშვა. დედამიწის გაჩენა ამხანაში წყნარის დედადამიწის
 დებულის ნაბიჯით-კი არ სწარმოებდა, არამედ საშინელის და
 მძაფრის პროცესით: მთის მწვერვალები ისროდნენ ცეცხლს
 წყალში და ეს ორი სტიქიონი—ცეცხლი და წყალი—სამკე-
 დრო სასიცოცხლოდ დაუცბრომლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს.
 ნაზი მცენარეულობა, რომელიც თავს იჩენდა ამ დროს, უთუოდ
 უნდა გამჭრალიყო.

ერთ ამგვარ ცვლილების მოწამენი ჩვენცა ვართ, როცა
 ქვესკნელ ძალთა დასაწყისი ძლიერება მტრულად ეპყრობა
 ძლივს დამყარებულს წესიერებას, ტლანქ ძალ-მომხრებით
 ცდილობს დაიბრუნოს თავისი ძველი უფლებანი. წყალ ქვე-
 ვით მთის ნაპრალებიდან ამოჰხეთქს ცხელი ტლაპო, ვეებე-
 რთელა კონუსი ცეცხლის მფრქვეველ მთისა იწვევს ზევით,
 ვიდრე კვამლით შებურვილი მისი მწვერვალი არ გამოჩნდება
 ზღვის ზედაპირზე. ქექა-ქუხილი წინასწარ გვამცნევს ამ
 შრისხანე ამოხეთქას, და ღრუბლებში გადაცემული ჯიგრის
 ფერი ნათელი გვიჩვენებს, რომ ტლაპო თანდათან ზევით
 იწვევს ცეცხლის მფრქვეველ მთის პირიდან.

მაგრამ, აი, ქვესკნელის ძალა უფრო მატულობს, იზრ-
 დება, გადადის საზომს, უცებ იფეთქებს და გზას უკვლევს
 აღუღებულ მასსას. ტლაპოს ნიაღვარი მთის ყელში იქცევა
 გაცხელებულ წინწყლებად და მიფრინავს ზევით რამდენისამე
 ვერსის მანძილზე. ტლაპოსთან ერთად ამოვარდება გახურე-
 ბული ქვეები, მგზნებარე ღველფი და სულის შემბუთავი ჰაერ-
 რი. ქვის ნამტერევეები, რამდენიმე ათას ფუთიანი, იგლიჯება
 მთის ყელში და ვეებერთელა ყუმბარისავით მიჰფრინავს
 ჰაერში. უფრო დიდებულს სანახაობას წარმოადგენს შავი და
 მძიმე კვამლი, რომელსაც სკრის ელვა და რომლის ქუხილიც
 აყრუებს არე-მარეს.

მიწა დიდს მანძილზე ზანზარებს მიწის ქვემო ბუმბერა-
 ზის ძალით; ამ ბუმბერაზის სულის თქმით წყალში გამოჩენილი
 მიწა ხან აიწვევს ზევით და ხან დაიწვევს ოკეანეს ფსკერამდის;

კლდიდან მოგლეჯილი ქვები ცაში მიჰქრის და იქიდანაც
ზღვაში ცვივა. კვამლის უზარმაზარი ღრუბელი წყვდიადით
ჭფარავს იმ ადგილებს, საცა დღეს თავი უჭენია; ამ საშიშს
სიბნელეში ხან და ხან გაიღრღვებს ცეცხლის ალი, რომელ-
საც ისვრის ცეცხლის-მფრქვეველი მთა.

მაგრამ ეს ცეცხლის ელვაც ცეცხლის-მრფქვეველ მთე-
ბისაგან ანუ სანძრებისაგან, რომელიც ანათებდა ამ გამანა-
დგურებელ მრისხანე სურათს, თანდათან კლებულობს; კვამ-
ლის ღრუბლები თანდათან შესქელდება. ბუნება კიდევ
ხელახლად აფარებს დედამიწას ღრუბლის განუქვრეტელ შავ
სუდარას, რომ წყვდიად სიბნელეში მოამზადოს ის, რაც სა-
ჭიროა იმ უბედურობის ასაცდენად, რომელიც მოჰყვა პირ-
ველ-ყოფილ ძალთა თავ-აშვებას.

ურციცხვი ათასი წლები მოუწდა ამ საშიშარ დევონის
ხანის უღაბნოს გარდაქმნას ბუნების იმ მშვენიერ მდგომა-
რეობად, რომელსაც ქვანახშირის ხანა ეწოდება და რომელ-
საც უკვე უახლოვდებით. მაგრამ ერთს წუთს კიდევ გადავ-
ხედოთ გონების თვალით ქვეყანაზე სიცოცხლის გაჩენას.

ახლად დასრულებული დევონის ხანა მიწის ცხოვრებაში
სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ წინანდელ სილურიის ხანასთან
შედარებით. ცხოველთა სამეფო უკეთ და უკეთ სწავლობს
კურვას, იპყრობს გაცილებით მეტს არე-მარეს, რადგანაც
წინად მხოლოდ ზღვის ფსკერზე შეეძლო ცხოვრება, ახლა-კი
მთელი ზღვაა მისი სამფლობელო.

ამ პირველ-ყოფილ ხანებში ვხედავთ იშვიათ თევზებს,
რომლებიც, თავის ცხოვრების მოწყობილობით, უეჭველად
ძლიერ ჰგვანან კიბოს მაგვარ ცხოველებს. ხშირად ასეთი
ცხოველნი სხეულის უკანა ნაწილს ზღვის შლამში ჰმალი-
დნენ, რაც იფარავდა სხეულის ამ ნაწილს და უწევდა აბჯ-
რობას; ტანის წინა ნაწილი-კი შემოსილი იყო ისეთის იარა-
ღით, რომელიც შესდგებოდა მაგარ კაკნატელის ფირფიტე-
საგან, რაც მოგვაგონებდა კიბოს მაგვარ ცხოველთა ჯავშანს.

ცხადია, რომ ეს თევზები, სრულიად შემთხვევით, საშოვნელად ამოხტებოდნენ შლამიდან, მაგრამ ისევ უკან უნდა ჩამძვრალიყვნენ. ასეთმა ხშირმა ვარჯიშობამ ასწავლა ცურვა. ამ სახით მუდმივმა მისწრაფებამ მეტი ადგილის თანდათან დაპყრობაში თავი იჩინა და განვითარდა.

გარდა იმ თევზებისა, რომლებიც შლამში სცხოვრობდნენ, დევონის ხანაში ჩნდებიან სრულიად თავისუფლად მცურავი თევზებიც, რომლებიც საშიშ ონაერებად და სრულ უფლებიან მონადირედ ხდებიან პირველ-ყოფილს ზღვებში, რაც დღესაც ეტყობათ იმათ შთამომავალს ზვიგენებს.



დღემიწა დევონის ხანის დასასრულს. ნაპირზე ხანან მცენარეები, ჯავშნიანი თევზები და სიბინები.

რომ დაუკვირდეთ ახლა ხმელეთს, შევნიშნავთ, რომ ამ მწირობის დროს ვერავითარს წარმატებას ვერ ვამჩნევთ სილურიის ხანასთან შედარებით. მართალია, ზოგი მცენარე, რომელსაც დაწვრილებით გავიცნობთ, როცა საუბარი გვექნება ქვანახშირის ხანაზე, ამ დროსაც ჩნდება ან კარა წყლიან

ტბებში აქა-იქ და ზარმაცად მიზოხავენ ზოგი სიპინები და მათი მიწაზე გართხმული მცენარე წყლის პირად სავსეა უშნო უცხოაფე ხიანებით, რომელიც ახლო ნათესავია კიბოს მაგვარ ცხოველებისა.

რა ღარიბი და მწირია მაშინდელი ბუნება ეხლანდელთან შედარებით და როგორი ერთგვარი უნდა ყოფილიყო, ეს კარგად ვიცით, თუმცა სქლად დაფარულია სანძრებისაგან აღმოხეთქილ ნახშირისა და გოგარდის მტვერით. მზის სხივებს არ შეეძლო გავლა ჰაერში მყოფმტვრის სისქეში, როგორც ვიცით, მხოლოდ მზის სინათლეს, შეუძლიან შემოსოს დედამიწა მწვანე სამოსლითა და მისცეს მომზიბლავი სახე. არც ერთს მცენარეს, გარდა უმსგავს რუხვ სოკოებისა, არ შეუძლიან უსინათლოდ ცხოვრება, თუმც საკვები თავზე საყრელიც ჰქონდეს.

ნახშირმეხვე ხარბად მოეფინა მაშინდელს ჰაერს.

მაშასადამე, ჰაერის შედგენილობა ხელსაყრელი ყოფილა მცენარეთა აღმოცენებისათვის, რომლის უმთავრესს საზრდოს ეს ჰაერგვარი შეადგენს. ბოლოს, როგორც გვგონია, მზის სხივებმა გაიკაფეს გზა მძიმე ღრუბლებში და მიიღწიეს დედამიწამდის, რომელიც უნდა ამწვანებულებიყოს მის გავლენით. მართლაც, რამდენისამე ხნის შემდეგ, ღრუბლები ხშირ მოძრაობას იწყებენ, მიწაში ცეცხლის ძალა სუსტდება, ნაცრის ღრუბლები თანდათან ილექება, ჰაერი იწმინდება და თანდათან უშვებს მიწისკენ სიცოცხლის მომნიკებელს მზის სხივებს.

ლ. ბოცვაძე





ნარევი

შარღა.

პირველი—ნაცვალ სახელი,
რომ შენი თავი უჩვენო.
მეორე, მასთან მესამე
ერთ სიტყვას შეადგენენო,

პნიშნავს—გორაკებს, გრებილებს,
მინდვრებზე გაკიშულია;
მიჰ ნახვით თვალი წყალს დაღევს
და გაიხარებს გულია.

მთელი—ლობეა ერთგვარი,
დაბაში უფრო ხშირია,
თორემ სოფლებლთა ვინ მისცა,
ვიცით მათ გასაქირია.

3. 4.

80-8 №-ში მოთავსებულ გამოცანების და ჩაბუსის აღსნა:

- 1) — შავთელი.
- 2) — გამზიარულდი ბუხარო, გულჩათხრობილი ნუ ხარო.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

ქაღალაში იურდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . . 30 კ.

ტომის თავ გადასავალი, თხზულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი. თხზულება ბენზაროუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ.



ვიიღუბა ხელის მოშერა ჟიქონი

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუბრაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი მთავარი

წლიურ ხელის მოშერლებს მიეცემაო:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მთავარი წლიური მთავარი **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მთავარი წლიური მთავარი.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მოშერლებს პრემიად მიეცემაო:

- I. დედამისა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ეკადლისა.
- II. მარჯნები, — ზღაპარი ეკადლისა ითხა სურათით.
- III. თორმეტი და, — ზღაპარი ეკადლისა ერთი სურათით.
- IV. მართული მხატვრული კასობი კუბიკობა.

ჟურნალს ხელმძღვანელობს ჟურნალის სახელმძღვანელო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან. სამწლიურ გარე: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან. მთავარი წლიური მთავარი 24 წიგნი სამი მან. — მთავარი წლიური მთავარი 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოშერა მთავარი წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოშერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-ღღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) ჟურა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მოშერათ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ან რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.